პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 24.901/3

14 სექ. 1904 წ. 14 სექტ. 1914 წ. ათი წლის გარდაცვალების შესრულების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგალითო ადამიანი

K 24.901 / 3

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუგალაშვილი

მეორე გამოცემა.

თბილისი.
ელექ-მბეჭდავი სტამბა „სოკრატანი“ მადათ. კუნ. № 1.
1914.

4 სექ. 1904 წ. 14 სექტ. 1914 წ. ათი წლის გარდაცვალების შესრულების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგალითო ადამიანი

9(47.922)ბ.
К 24.901/3

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუგალაშვილი

მეორე გამოცემა ზ. ჭ.

თბილისი.
ელექ-მბეჭდავი სტამბა „სოკრატანი“ მადათ. კუნძ. № 1.
1914.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

1860—1904

თოთხ. სექტ. 1914 წ. ალავერდობა დღეს, შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც ევროპაში მგზავრობის დროს, პარისში, გარდაიცვალა სტეფან კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

განსვენებული მთელს საქართველოს ერში იყო პირველი კაცი, პირველი მამულისშვილი. ეს მან აშკარად გამოთქვა იმ დროს, როცა მან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ოცდა ხუთის წლის არსებობის სამახსოვროდ ფული და ქართულად დაწერილი წერილი გამოუგზავნა: აი თვით წერილიც, რომელიც წერ. კ. სამკითხველოში ინახება.

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას

პატივისცემით ვავუწყებთ გამგეობას, რომ ჩვენის საზოგადოების 25 წლის ფრიად თვალთ საჩინოთ და განუწყვეტელის შრომის აღსაბეჭდათ, მე განვიზრახე შეძლებისადა გვარად დავეხმარო ამ საზოგადოებას. ამასთანავე გიგზავნით 10000 მან. და გთხოვთ მიიღოთ ეს წვლილი ჩემგან, როგორც ერთის გულ შემატკივარის ქართველისაგან.

ღრმად პატივის ცემით დავშთები

სტეფანე ზუბალაშვილი. ბაქო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსვენებულის მამულისშვილობის შესახებ ჩვენ ბევრს ვეღარას ვიტყვით. მისი მამულისშვილობა მისის წერილიდამ სჩანს, იგი სარკეა, სადაც ცოცხლად გამოისჭვრიტება სტეფანეს მამულიშვილური გული და სული და საქართველოს ერის გონებითი დაწინაურების სიყვარული.

სტეფანეს დასაფლავების დროს, საზოგადოებაში დიდი მწუხარება იყო; ყველა იმას დარდობდა, რომ ნეტა სტეფანობას ვილა გაგვიწევსო. ძმების შესახებ არავინ რას ამბობდა. ბევრნი სულ სხვა და სხვა ნაირ ცნობებს ლაპარაკობდნენ.

მაგრამ მადლობა გარამოებას და ღმერთს, სტეფანეს სიკვდილის შემდეგ, მის ძმებიც მამაპაპის გზას დაადგნენ. მათ დიდი ადამიანობა გამოიჩინეს და სტეფანეს თუ არ აჭარბებენ, არც ნაკლებნი გახლავან. ესენი არიან: ეფროსი ძმა ლევან კონსტანტინეს ძე, პეტრე და იაკობი. რასაც ესენი ემსახურებიან, აკეთებენ და კიდევაც გააკეთებენ ეს ყველასთვის ცხადია. რაც გააკეთეს, იმათ კიდევ ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით- დავასახელებთ მხოლოდ სამს ცნობას 1, სტეფანეს სიკვდილის შემდეგ სხვა და სხვა კეთილ საქმეებზედ დიდს შეწირულებას, სტიპენდიების დანიშვნას. რასაც წლიურად 6000 მ ეძლევა. ჟურ. „ნაკადულის" გამოცემას სახალხო სახლის დამთავრებას. 2, საბავშვო საავათმყოფოს აშენებას და უკანასკნელ, კიდევ მეტად დიდ მნიშვნელოვან ომიანობის საქმეთა სასარგებლოდ, ნახევარ მილიონი ფულის შეწირვას, რაც ლევან კონსტანტინეს ძემ მოსკოვიდამ პეტერბურგს გაუგზავნა დანიშნულებისამებრ ცნობილ გამგეობას

ყოველივე ამით ესენი იხდიან თავიანთ კაცობრივ ვალს და მასთან სტეფან კონსტანტინეს ძის ნატვრასაც ცხადლივ ასრულებენ.

გამომცემელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი.

„ვინც თვის მამულზე მარად ფიქრობდა
და სამშობლოსთვის უძგერდა გული,
მისი სახელი უკუნისამდე
იყოს მაღალი და კურთხეული“.

აკაკი.

I.

ქართულად ნათქვამია: „დედ-მამას რომ კარგი შვილი გა-
ზრდიდეს, ის დედ-მამა უბედური ადარ იქნებაო“. არის კიდევ,
რომ—„ისა სჯობს მამულისთვის, რომ შვილი სჯობდეს მამასო“.
და ბევრიც სხვა ასეთ ძვირფას თვალ-მარგალიტ ბრძნული
თქმულებანია ქართველ ერში მოფენილი და გავრცელებული.
იგი ღრმად არის ამ ერის გულში ჩანერგილი და ჩაქსოვილი.
ეს საშვილისშვილო წმინდა მცნება ქართველებში ბრძენ კაც-
თაგან ძველადგანვე გამოითქვა და აღორძინდა. მას ემორჩი-
ლებოდნენ უაღრესად და მიტომაც გახლდათ, რომ ჩვენს
ძველს დროს, ანუ წარსულში, ყოველი შვილი იმას სცდი-
ლობდა, რომ იგი მამაზედ უკეთესი გამოსულიყო. ეს რომ
ასე არ ყოფილიყო, მაშინ თქვენი მტერი, თუ ჩვენი სამშობ-
ლო ქვეყანა რა დღეში ჩავარდებოდა. ვგონებთ ამის უტყუა-
რი მოწმეა მთელი ჩვენი ძველი და ახალი მწერლობა. ასე
იყო ძველად ჩვენში და მიტომაც გახლდათ, რომ ამ ძველ
შთამომავლობას ჩვენი მგოსნებიც აქებდნენ:

„გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!“.

თუმცა ეს ასე გახლდათ, თუმცა ჩვენის ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მხარეები ასეთ მიდრეკილების ძალას გვატანდა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს გვერდით, ჩვენს ახლოს იყვნენ ისეთი პირნიც, რომელნიც ამ საშვილისშვილო დიად მცნებას მკაცრად ეწინააღმდეგებოდნენ და მით არღვევდნენ იმ წმინდა სავალდებულო გარდმოცემას, რაც კი ჩვენ, ქართველთ, ბრძენ მამათაგან საღმრთო ვალად გადმოგვცემია, რა გაეწყობა, ესეც ერთი დარგია ჩვენის გაუმცნებლის ,ცხოვრებისა. განა ტყუილად უთქვამთ იმავე ძველ ბრძენ კაცთ, რომ „გვარში ერთი უნდილი არ დაილევაო“, ანუ „ერთის ხიდამ ბარიც გამოვა და ნიჩაბიცაო“. ასეთ გვამთა შესახებ და დასახასიათებლათ ბევრი კიდევ სხვა ბრძნული თქმულებანია ქართველებში დაშთენილი. ცხადი საქმეა, რომ სადაც კეთილი იყო, იქ არც ბოროტი დაილევოდა. ნათქვამია ბრძენთაგან: „რომელ ბადეშიაც ვარდი მოდის, იქ ეკალიც ჩნდებაო“. რუსთველის ბრძანებისა არ იყოს და ვარდ უეკლოდ არ დარჩებაო.

რამდენ ალაგას მომხდარა და თქმულა ასე: „ეფსუს, ეფსუს, რა კაცს რა გვარის შესარცხვენი შვილები გამოუვიდნენო“. ამას გარდა, რამდენ ალაგას მოხდა ასეთი შემთხვევა, რომ მამისაგან აყვავებული ოჯახი შვილს შეუჭამია და ისე გაუფლანგავს, რომ შეძლების ნასახიც კი არ დაუტოვებია, არ დატოვების გარდა ბევრნაირი შესარცხვენი დაღიც დაურტყამს და მით მძლავრად დაუმჩნევია თვისი უხეირო მოქმედების ბეჭედი.

ასე იყო საქმე და მიტომ უნდა ვსთქვათ, რომ ძველად ჩვენ, ბევრს სიკეთესთან, ხშირად უგვანნიც ვიყავით. ეს არავინ იუცხოვოს, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ხომ ძველი ქართველი ბრძენნი კაცნი ისე ადრე არ დასძრავდნენ ბაგეს და არ იტყოდნენ ბრძნულს დარიგებას. მართლაცა და ჩვენ არც სულ წმინდა ანგელოზები გახლდით.

რაკი ერთ დროს დაეცა საქართველო, მერე მის შინაგან

საქმეებიც აირ-დაირია, მთა მთას ებრძოდა, ბარი—ბარსა. მალე უძლურ იქმნენ მეფენი და განდიდნენ თავადნი და აზნაურნი, განდიდებულნი მალე გალაღებას მიეცნენ. ამას მოჰყვა მთელის ტომის უძლურება: ქვეყნის ღალატი, ორპირობა, ოსმალ-სპარსთა მიმხრობა და ყმების დაყიდვა დიდებულთა ხელობათ გარდაიქმნა.

სამი საუკუნის განმავლობაში სპარსეთში 800 ათასზე მეტი იქმნა გადასახლებული, ამაზე მეტი ოსმალეთში, ორი ამდენი გათათრდა. ტრაპიზონს, სტამბოლს და სხვაგან ქართველთ შვილების დასაყიდი ბაზარიც არსებობდა *). ყველა ეს ჩვენ აქ მიტომ მოვიყვანეთ, რადგანაც ვსთქვით, რომ ჩვენ წარსულში არც სულ წმინდანები ვიყავით. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველს უგვანს და უბედურს დროსა და პირობის გვერდით ქართველთ შორის მრავლად მოიპოვებოდნენ სუფთა, თავ-დადებული მამულის-შვილებიც და სწორეთ ამათი წყალობა იყო, რომ საქართველომ თავის არსებობა XIX საუკუნის დამდეგამდე მოაღწია, უკანასკნელ დროს კი საქრისტიანო ძლიერ სამეფოს დაუკავშირდა. სამწუხაროდ კი ამ დაკავშირებით ქართველმა ვერ ისარგებლა, თითქმის ძილსა და სმა-ჭამას მიეცნენ. ყოველი უბედურება გარს მოიკრიბეს, ყველაფრის უვარგისნი და უმაქნისი შეიქმნენ. ამაში არც რუსებს ედებათ ბრალი და არც სომხებს, თვით ქართველები ბრძანდებიან ყველაფრის ბიზეზნი. ამას აქედამაც ვნახავთ.

ასეთ პირთა რიცხვი ძველადგანვე ყოფილა ჩვენში, იგი დღესაც დიდია და ფიქრი არ უნდა, რომ არც მომავალში მოგვაკლდება. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ ხომ ჩვენი საქმეები ასე არ დაქვეითდებოდა, ქართველი ამ სახით არ დაეცემოდა, ასე არ დაკნინდებოდა, ჩვენს სამშობლოში, ჩვენის მამა პაპისაგან სისხლით მორწყულ ქვეყანაში ხომ ასეთი პამპულები არ გავხდებოდით, არამედ ვიქმნებოდით საქმიანნი და საქმის მკეთებელ-მოტრფიალენი, ჩვენი

*) ისტორია კათოლიკობისა საქართველოში მ. თამარაშვილისა.

მდგომარეობა ერთი ათად აყვავდებოდა მოქალაქურის მხარეებით საკმარისად წინ წავიდოდით. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ქართველმა ძველადგანვე აუქცია გზა-კვალი ნათელ მიმართულებას და ჩვენც მიტომ დავეცით და ასე დავკნინდით. მაგალითებსაც მოგახსენებთ.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში, მთელს კავკასიის სომხეთ შორის და კერძოთ საქართველოს სომხებშიაც მკაცრად აღორძინდა ურთი-ერთ შორის დახმარების ტრფიალი და პატივცემა. ხსენებულ დროდამ არსად ერთი მდიდარი სომეხიც არ გარდაცვლილა, რომ იმას ეჩმიაძინის სინოდის და თავიანთი გვარ-ტომის სასარგებლოდ რამე ქონებრივი ძალა არ დაეტოვებინოს. ამის ნიადაგის მომზადება, რასაკვირველია, მათს სამღვდელოებას ეკუთვნის. იგინი არსად ერთ შეძლებულ პირსაც კი არ დასტოვებენ ისე, რომ იმას თავიანთ ერის სიყვარული და პატივცემა არ ჩაუნერგონ. მათ ამ საქმეში დიდი შრომა მიუძღვით და მიტომაც გახლავთ, რომ ყოველი მათგანი ზემოხსენებულ სინოდს გარდა, ფულს სწირავენ სომხის ერში სწავლა-განათლების გასავრცელებლად, სომხურის სახალხო წიგნების გამოსაცემად, სომხის ღარიბთ დასახმარებლად, სომხის შეუძლო გასათხოვარ ქალების მზითვის ფულად, სომეხთ მსწავლულთ სასარგებლოდ, სომხურ სამეცნიერო თხუზულებათა გამოსაცემად, სამეცნიერო თხუზულებათა დამწერთ დასასაჩუქრებლად, სომხეთში სხვადასხვა ძველ ნაშთების აღსადგენათ, სომხის გვარში ვაჭრობის ასაღორძინებლად, სომხურის წიგნების და ენის მოსაფენად, ყველგან სომეხთ შორის და მრავალიც სხვა ამ გვარები, რომლის მოთვლაც აქ ჩვენგან შეუძლებელია.

ერთის სიტყვით, აქამდე, მათ შორის არც ერთი მდიდარი და გინდ მცირედ შეძლებულნი პირიც არ გადაცვლილა ისე, რომ მას თავის ერის ცხოვრების ზრუნვა არ ჰქონდეს, ამ ერის ფიქრი თან არ გაჰყოლოდეს; შეძლებულ პირს, სიკვდილის დროს, მეტად შეუსაბამოთ და უკადრისათ მიაჩნია, რომ მან თავის ანდერძით არაფერი დაუტოვოს. ამიტომაც

ყოველი მათგანი სტოვებს რამეს საეროდ, ასეთის საქმეებით სომხობა საკმარისად გამაგრდა, მან ხმა აიმაღლა ადგილობრივ, მოქალაქობის აღორძინებისათვის სახსარი მოიპოვა და საქმე ისე კარგად დაუტრიალდათ, რომ გუშინდელ ღარიბ სომეხს, რომელსაც თავის შვილის გამოზრდა ხარაზსა და დურგალს იქით სხვაგან არსად შეეძლო, დღეს იგი თვისი ერის შეძლებულ გვამთა დახმარებით შვილს უმაღლეს სასწავლებელშიც ზრდის და, მომავალი აღდგენას უქადის. მე თვით ვარ მნახველი ამის, რომ ერთ ღატაკ მეხაშის შვილმა ჯერ გემნაზიის სწავლა დაამთავრა და მერე უმაღლესი სწავლა მიიღო რუსეთში. ერთმა ღატაკ ხარაზის შვილმა საექიმო ფაკულტეტზედ დაამთავრა და მკურნალათ გამოვიდა. მესამე დურგლის შვილმა იურიდიულ ფაკულტეტზედ დაამთავრა და შემდეგ ვეჭილობაც დაიწყო ტფილისში. მე აქ მოვიყვანე სულ სამი მაგალათი. საჭირო რომ იქმნეს, მაშინ ასობით დავასახელებთ. ვიტყვით კი იმას, რომ მათში ძრიელ ბევრი ღატაკს კაცის შვილს გაეხსნა გზა და კვალი, მათ შესაფერი განათლება მიიღეს. სულ კი შემცნებულ სომეხთ შეძლებულთ პირთ მოქმედება იყო, რომ ტფილისში სომხის მოქალაქობა ასე მალე აღორძინდა, მათმა შვილებმა ყველა დარგში იწყეს ფეხის წადგმა და წარმატება.

ქართველებში კი, ტფილისში, არამც თუ შეუძლო კაცის შვილებმა იწყეს სწავლა და განათლება, არამედ თვით ქონიერ ხელოსნის შვილებსაც კი ენატრებოდათ ეს, ვერც ერთმა ქართველმა ხელოსანმა ტფილისში ვერ გამოზარდა შვილი დროის შესაფერად. ამაში ხელოსნები ისე არ არიან მაინცა და მაინც გასაკიცხნი: ქართველთ შორის ის უფროა საყურადღებო, რომ სომხის ღარიბთ სწავლის ლტოლვას ვერ უსწრეს წინ, თვით ქართველ თავად-აზნაურისშვილებმაც კი. აი ასე მოეწყო ჩვენი საქმე და მიტომ გაგვისწრეს სომხებმა თავიანთ მხნე თანამემამულეთა დახმარების წყალობით.

მთელი თბილისი სავსეა ქართველ ხელოსნებით, ამათი რიცხვი შესდგება დურგლებისაგან, კალატოზის, სტალარის,

მეჩექმის, მჭედლის, სლესრის, ლიტეინჩიკის, თერძების და მღებრის, ბევრიც კიდევ სხვა მოიპოვება, მარტოდ ასეთ მუშათ რიცხვი ქართველთა 30 ათასზედ მეტია, მათში გლეხებს და მოქალაქეებს გარდა თვით ტახტის აზნაურის შვილებიც კი ურევიან. ძრიელ ბევრს ამათში სახლ-კარიც კი აქვს, მდგმურებიც ჰყავსთ და კაი ქირებს იღებენ, ასეთ სახლ-კარის პატრონებს თვით მე ვიცნობ რამდენიმე ას ოჯახს და არა ერთსა და ორს.

მერე, ყველა ამათგან რა გამოდის? რა ხდება მათ მომავლის სასარგებლოდ შვილების განათლების მხრით?—არაფერი კარგი. მამა თუ დურგალია შვილიც დურგალი გამოდის, სტალიარი—სტალარი. კალატოზი—კალატოზი, მეჩექმე—მეჩექმე, სლესრისაგან—სლესარი და სხვაც ამ გვარნი. ამათ თავში მკვიდრათ სუფევს შემდეგი: ჩემს შვილს ხელობას ვასწავლი, რომ მით შეეძლოს ერთი ლუკმა პური იშოვნოს და ჯამოსო. სხვა მეტი საჭირო არ არის, როგორც მამა ყოფილა, შვილიც ისეთი უნდა გამოვიდეს, ტყუილად ხომ არ ამბობენ თვითონვე, რომ მამა ნახე, დედა ნახე და შვილიც ისე გამონახე თუ გამოზარდეო. როგორიც მამა ისეთიც შვილიო, ასეა დაქვეითებული ღღეს ქართლელი კაცის საქმე.

მთელს თფილისში, ერთმა ქართველმა ხელოსანმა ვერ გამოზარდა შვილი, ერთმა ვერ მისცა შვილს შესაფერი სწავლა, ერთმა ხელოსნის შვილმა ვერ მიაღწია გემნაზიის კარამდე, უნივერსიტეტი ხომ თვალით არ უნახავსთ, სამზღვარ გარედ ქვეყნის სასწავლებლები ხომ იქმნება ვაგონებითაც არ იციან. ერთი არ გამოსულა ამათგან მკურნალი, ვექილი, ინჟინერი, მეხანიკი, ტეხნიკი და ვინ იცის კიდევ რამდენი რა გინდა რა. თვით სახელოსნო გამგეობისთვისაც კი ვერ უპოვნიათ ხოლმე ერთი რიგიანათ განათლებული კაცი. ამაზედ მეტი უბედურება იქმნება! ამაზედ მეტი დაქვეითება ქართველი ერის, გათახსირება და დაღუპვა მეტილა შეიძლება?!

განათლება ამათში განათებათ გახლავთ. თვით ვაჭროობის ასპარეზედაც ვერ იჩინეს თავი, თვით ერთ რიგიან ვაჭარ-

საც ვერ ვპოვებთ თფილისში. თუ ვინმე ასწავლის შვილს, ისიც უბრალო სასწავლებელში, სადაც ყმაწვილი წერა-კითხვას ისწავლის. 15—16 წლის სკოლიდამ გამოდის, ათავებს სწავლას, ის მერე ვეღარც ხელოსნობას ეწყობა, ვერც ვაჭრობას, ვერც სახელმწიფო სამსახურში შედის, რადგანაც საიმისოდ არც არის მომზადებული და მიტომ დადის ცუდათ და საქმეს ეძებს. ასეთ მოძებართა და ცუდათ მოსიარულე ყმაწვილებით სავსეა ჩვენი ქალაქი. ახლა ბრძანეთ თუ რაში უნდა გამოდგნენ ესენი, ამათგან რა უნდა დაიბადოს. ან ასეთი მაგალითების შემდეგ ქართველის თავში როგორ უნდა ამაღლდეს სწავლის მნიშვნელობა?

აქედამ ცხადათ სჩანს, რომ ქართველისათვის საჭიროა ყველაფრის სწავლა: ხელოსნობაც, ვაჭრობაც და მასთან სხვებიც, მაგრამ დაკვირვებით და სწავლის სისრულით. ერთი რომელიმე საქმის ამოჟინება და მის გარშემო ტრიალი ჩვენ არ გამოგვადგება და მის მეოხებით ყოველთვის უკან ვიქნებით ჩამორჩენილნი. მადლობა ღმერთს, რომ ამის მხრით იმერნი გვჯობიან, თფილისის სასწავლებლებში თუ სწავლობს ვინმე ქართველთაგანი, ისევ ესენი არიან, გარედამ მოსულნი, ესენი სჩანან და თფილისის ქართველობას კი სძინავთ.

უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ სომეხთ საპატიო პირთ შორის ხანდისხან სჩნდებოდნენ თითო ოროლა ისეთი გვამნიც, რომელნიც თავიანთ მეგვარტომეთ პატივცემის დროს არც სხვებს ივიწყებდნენ და ნამეტურ მოძმე მეზობელ ქართველთ ტომის ძეთ და თავიანთის ანდერძის წერის დროს, დიდის შეძლებიდამ ქართველებსაც უწილადებდნენ რამეს. ამის მაგალითები ჩვენში თუმცა დიდი არ არის, მაგრამ რაც არის და რაც მოხდა, ისიც კარგი განძია. როგორც სომხის ერის საუგეშოთ, სამედიდუროთ, ისევე ჩვენთვის, ე. ი. ქართველებისთვის; მხოლოდ აქ ჩვენი სინანული ერთი ის უნდა გახლდეთ, რომ ხსენებულ გარემოებას სულ ოთხმა პირმა მიაქცია ყურადღება, მხოლოდ ესენი აეწინაღმდეგნენ არსებულს საგვარტომო გარემოებათა ნაღაღადებელ მცნებას, მხოლოდ ესე-

ნი გამოვიდნენ ახალ მცნების თანხმა ადამიანებათ, საგვარეულო ვიწრო მიმართვას გზა-კვალს გვერდი აუქციეს და მით ქართველ ერის სასარგებლოთაც რამე დასტოვეს. ასეთია მაგალითებრ ის გარემოება, რომ რამდენმამე სომეხმა ქართველთ სასარგებლოდ შესწირეს ფული და ან თავნი ფული დადეს და მის სარგებლით იზრდეპიან ქართველთ შვილები ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში, გიმნაზიებში და თვით უმაღლეს სასწავლებლებშიაც, როგორც საქართველოში, ისევე რუსეთში. ამას გარდა, არის კიდევ ისეთი შეწირულებაც, რომელ ფულიდამაც ქართველთ ღარიბ ქალებს სამზითვოდ შეძლებაც ეძლევათ. ეს ხდება წელიწადში ერთხელ, თითო ქალს კენჭის ყრით 150 მ. ეძლევა. ამ ფულის თანხა წინეთ არის ბანკში შეტანილი და 150 მ. მხოლოდ სარგებელია, თავნი კი უკვდავათ შთება.

ასეთის მოქმედებით სომხებმა, რასაკვირველია, შესაფერი პატივსცემა დაიმსახურეს, როგორც თავიანთ ერის წინაშე, ისევე ქართველების. ამ საქების საქციელის წყალობით კარგად გამოჩნდა, რომ სომეხთ შორისაც არიან ისეთნი პირნი, რომელთაც უაღრესად სწამთ კაცობრივი მოვალეობის პატივისცემა, უძლურთ შებრალება, მის ფეხზედ დასაყენებლად სახსრის მიცემა და მით თვის წვლილის მიწოდება განურჩევლად სარწმუნოების, გვარტომობის და ვინაობის.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს გათახსირებულს დროშიაც კი აქა-იქ თითოოროლა ასეთი მადლიანი პირები კიდევ სჩნდებიან. უნდა ითქვას, რომ ასეთი პირები სწორეთ დასანატრია მრავალთაგან, ჩვენს დროში, მართალია კაცობრივის პატივსცემის თანხმად ღალადების მექონი ქადაგებანი ხშირად განისმიან მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ ეს არის მხოლოდ გარეგანი სახე დიადის ადამიანურის მიმართვის, თორემ შინაგან ადამიანურის ღირსებით იგი მეტად ღატაკია, მკრთალი. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ხომ არც ასე დაქვეითებულები ვიქნებოდით. ასეთ პირთა სიმცირე და ნაკლი ისე არავის ეტყობა, როგორც ქართველებს, ჩვენ ვარ-ით მხოლოდ ამის ზვა-

რაკნი, თორემ სხვები მკაფიოთ გვისწრობენ წინ. ესეც სამაგალითო უნდა იყოს ჩვენთვის გავახილო თვალები. მივბაძოთ მათ, ჩვენც ისე მოვიქცეთ, თუ თვალნი და ყურნი გვაქვს, თუ სმენა გვაქვს, მაშინ ვგონებთ ქართველებში კაცი ბევრ რამეს ნახავს გასაკეთებელს, ბევრი ტორტმანი არ მოუნდება. სხვათაგან ჩვენს წინაშე ესეც ერთი საქები და სამადლობელო საქმეა, ამიტომ ჩვენ სომხებს უნდა უმადლიდეთ კიდევაც, რომ მათის მიმბაძავობით მაინც გავმხნევდეთ, რაც მართალია და ამას ნურავინ დაგვძრახავს, ჩვენი ნაკლი და საქმები ვგონებთ ყველასთვის ცხადია. ვგონებთ ყოველ ჩვენგანმა იცის, რომ ქართველებში ქართველთ ნაკლის ნათლად მგრძნობელთ რიცხვი ერთობ მცირეა.

სომეხთ შორის კი ასეთ კეთილ მოღვაწე პირთ რიცხვი იშვიათი საქმე არ არის, მათში მრავლად მოიპოვებიან ისეთნი პირნი, რომელნიც საგვარტომო საქმეებს დიდის ბეჯითის თვალით უმზერენ და მის მეოხებით თავიანთ მემამულეთ წინაშე შესაფერს სამსახურს, დიდს ამაგსაც იმსახურებენ. ხოლო, რაც შეეხება მათს საგვარეულო საქმეებთან სხვათა საჭიროების პატივცემას და ყურადღების მიპყრობას, ამაში კი ფრთხილნი და იშვიათნი არიან. მათში თუ ვინმე შესწირავდნენ რამეს და ან კიდევ სწირავენ, ყველა იგინი მარტოდ თავიანთ ტომის სასარგებლოდ სწირავენ. მათში ამის მცნება საგვარტომოდ არის აღორძინებული და გავრცელებული. მათის აზრით, ყოველი ადამიანი, ანუ მამულის შვილი მოვალეა, რომ იგი მარტოდ თავის საგვარტომო საქმეებს სცემდეს პატივს, ანუ თავის თანამემამულეთა დახმარებას და სხვანი.

ამაზედ ჩვენ მათ ვერც გავკიცხავთ, მათი გაკიცხვა იქნება ჩვენგან მეტად უადგილო. აბა ვის რა საქმე აქვს, კაცს ვისაც სურს თავის შეძლებას იმას შესწირავს. ეს ისეთი საქმეა, ისეთი მხარე ადამიანის სულიერის თვისების, რომელსაც ძნელია რომ კაცი შეეხოს, ამის შეხება ყველასთვის ძნელია და ჭკუა მიუწდომელი. შეიძლება სომეხთა ქველთა ასეთი მოქმედება მრავალთათვის საწინააღმდეგო იყოს, მაგრამ პირა-

დათ მათ წინაღმდეგ კი სადავო კამათის გამართვა შეუძლებელია.

თამამად უნდა აღვნიშნოს ის გარებოებაც, რომ სომეხთა ვიწრო ფარგალში შემწყვდევას და მიმართვას მხოლოდ ოთხმა თუ ხუთმა კაცმა აუქცია გზა-კვალი და მხოლოდ ესენი გამოვიდნენ აღნიშნულ მიმართულების წინააღმდეგ, მათ დასძლიეს საზოგადო მოძრაობას და თავიანთ სურვილისამებრ დასტოვეს ისეთი ანდერძის წერილიც, რომლითაც მათ თავიანთ თანამემამულეთ დახმარების დროს არც ქართველები დაივიწყეს, თავიანთ ნამეზობლარ მოძმე ერის შეუძლოთაც რამე უწილადეს. ეს მეტად სანაქებო მხარეა, ბისაბაძი მრავალთაგან და სამაგალითო. საქებია მით უფრო, რადგანაც აქ მთელის ერის მოქმედების და მოძრაობის გეგმა ასეთ მიმართვას მკაცრად ეშესაბამება, იგი გეგმა სომეხ კაცის თავში უადვილესად ხატავს თვით მათივე ტომის ძეთა სამსახურის ტრფიალებას და არა სხვებისას, რომელიც მათ მაინცა და მაინც არც ეპიტნავებათ.

თორემ ისიც კი უნდა ვსთქვათ და ეს სხვებმაც კარგად ეცნდა იცოდნენ, რომ შიგ შუაგულ ქართლში, აქა-იქ სომხები სცხოვრობენ. ამ სომხებს სარწმუნოება აქვსთ სომხის, თორემ დანარჩენი ყოველივე გვაროვნობით ქართველებისას შეადგენს. ამათ მხოლოდ ერთად-ერთი სარწმუნოება აცალკევებს; ამ სარწმუნოებრივი განცალკევების მეოხებით მათ თავი სხვა ტომის შვილებათ მიაჩნიათ, ე. ი. თავიანთ ბინათ სომხეთს სთვლიან, იმ სომხეთს, სადაც სამწუხაროდ დღეს სომეხთ რიცხვი ერთობ ცოტა სცხოვრობს და უმეტესი თურქები, ქურთები, ბერძენნი და ქალდეველნი არიან. ეს ქართლის ძირეული ქართველ-სომეხნი ნამდვილ ქარველნი არიან, მათი დედა ენა, ლაპარაკი, სიმღერა, ტირილი და ყოველ ნაირი ხმაურობა სულ ქართულად სწარმოებს, მათ ქართული ენის გარდა სხვა ენა არც კი იციან, მაგრამ სარწმუნოების წყალობით მათ საქაოთ მხოლოდ ჩონჩხი სწამთ და საიქაოდ კი სული.

ჩვენ ორივეს პატივს ვცემთ, არავინ იფიქროს, რომ ჩვენ

სომეხთა შესახებ რამე საწინააღმდეგო გვქონდეს. აქ მხოლოდ საგანი გვალაპარაკებს, ჩვენ სომხებს ისე უმზერთ, როგორც ჩვენს ძმებს, ჩვენს ძველს მეზობლებს, ჩვენ მათი სიკეთე გვახარებს და მწუხარება კიდევ გვამწუხარებს, ეს მიტომ რადგანაც ჩვენ ერთმანერთის ისე დაახლოვებულები ვართ, რომ სხვანი ჩვენთან ვერ მოვლენ, მაგრამ იმასაც არ დავიდუმებთ, რაც კი ჩვენს მოძმე სომხებს ნაკლი აქვსთ. ბევრი რამ მათი ნაკლი ჩვენთვის საყურადღებოა, ამიტომ ამასაც მოვიყვანთ, უეჭველია ამ ნაკლს მნიშვნელობა არ მოაკლდება.

სომეხ კაცს ბევრს სასიკეთო მხარესთან აქვს ბევრი ნაკლიც. სომეხ კაცს არა აქვს სიყვარული თავის ქვეყნის, მამა-პაპის საფლავების, ძეგლების, ნაშთების. იგი ადვილათ სტოვებს თვის მამაპაპეულს მიწა-მამულს და მიდის, ანუ სახლდება ინდოეთს, ამერიკას, პოლონეთს, სპარსეთს, ოსმალეთს, იქ ეკიდება სამუდამო ბინადრობას. თავის სამშობლოში დაბრუნება ოცნებათაც აღარ მოსდის, მას აღარა ეფიქრება, მის ხსოვნაც უქრება და შთება სხვაგან, უცხო ალაგას, უცხოს სახელმწიფოს კარზედ, მის გულსა და სულს მამა-პაპათა ნაშთების მოგონება ველარ აცხოველებს, ვერ ახალისებს ერთობის დაბრუნების სიყვარულით, უცხოთ მავალნი და ყოფილნი კი, ხშირად თავიანთ სამშობლოს და თანა-მემამულეთა შესახებ ოცნებობენ კიდევაც.

ნატვრა აქვსთ მისი და თვის თანმემამულეთ ბედნიერების, ხოლო იმას კი აღარ აკვირდებიან, თუ მათ სამშობლოში მათის თანამემამულეთ რიცხვი რაზომისა არის, შიგ ვინლა სცხოვრებს და ან მათ სხვა ტომის ძენი რიცხვით როგორ ეთანაბრებიან. ამას არა ფიქრობენ დალოცვილები და ამიტომ ხშირად დიდს შეცდომასაც ჩადიან და ეს ჩვენც დიდათ გვაიძულებს მათ საყვედურების და ძრახვის თქმას. ამას თვითაც კარგად უნდა მიხვდენ და ეცადონ, რომ ძველ სომხეთში ფეხი გაიმაგრონ, იქ სხვა ტომის ძენი არ ამრავლონ, ნამეტურ მუსულმანები.

ქართლისა და კახეთის სომხებში თითო-ოროლა შე-

ძლებული პირნიც ურევიან და ზოგი მათში დიდი შეძლების პატრონნიც არიან. მათ ეს სიმდიდრე რასაკვირველია ადგილობრივ შეუძენიათ ; უკანასკნელ კი, როცა მათი აღსასრული მოახლოვდა და მათ განიძრახეს თავიანთი ანდერძის წერილის შედგენა, მაშინ მათ მთელი თავიანთი ცხოვრება მცირე აზიაში მცხოვრებ სომხებს შესწირეს: ზოგი ნახევარი და ზოგი მთელი ქონება იქ გაგზავნეს. იქ გაგზავნეს იმიტომ, რომ დედა ეკლესიის წყალობით მათ იქ მიაჩნიათ თავის ბინა, მისაყრდნობელი ადგილი. ამის შეწირვას იქ უფრო საჭიროდ სთვლიან და ადგილობრივ კუთხის სასარგებლოდ კი რამის შეიწირვა მეტად მიაჩნიათ. ამის წინაღმდეგ აბა რა შეიძლება ითქვას. მართლაცა და სადაც თუკი ტანჯული და ღატაკი ერია, დახმარებაც იმათ უნდათ. ჩვენ ვიცით, რომ მართლაცა და მცირე აზრიის სომხები დიდს გაჭირვებაში არიან, როგორც პოლიტიკურათ, ისევე ეკონომიურად. მათი მდგომარეობა მეტად შესაბრალისია და მიტომ ჩვენც თანავუგრძნობთ ასეთ გულკეთილ ძმურს ხელის გაწვდენას, დახმარების აღმოჩენას და ადამიანურს სალამს.

მაგრამ არ შეიძლება, რომ აქ მცირე რამ ჩვენი მოსაზრებაც არ ვსთქვათ: გლეხთა და შეუძლოთა გაჭირვება ჩვენ ერთნაირად მიგვაჩნია; ეს ყველგან ერთია, შეიძლება ოსმალეთის, სომხების გაჭივრება ჩვენის შეუძლო ხალხის ღატაკებზედ დიდი იყოს, იქ ოსმალოს მუსულმანის მახვილი არსებობს, მუსულმანებს ქრისტიანების სასტიკი მტრობა აქვსთ და სახეში მისაღებია, რომ ეს ასე უნდა იქმნეს, ამის წინააღმდეგი არ ვართ. ეს გარემოება მთელის ევროპის ერთა მწერლობითაც არის ცნობილი, თუმც ეს ასეა, მაგრამ ყოველი პატიოსანი ადამიანი მოვალეა, რომ თავის მახლობელთა გაჭივრებასაც დიდი, ჯეროვან ყურადღება მიაქციოს. აბა რა აზრში მოსასვლელია, რომ შუაგულ ქართლში კაცმა შეძლება შეიძინოს და უკანასკნელ მთელი ეს შეძლება ხსენებულის კუთხიდამ მცირე აზიაში გაგზავნოს და ადგილობრივი კი, სადაც ეს ქონება შეადგინა, იმ კუთხის ერს კი გროში, კაპიკი არ

დაუტოვოს. ეს შეუსაბამოა, სჩანს ასეთ პირთ ან აქაური გაჭივრებულთ სიდა ჯაკე არ სწამთ, ან არ იციან, ან სხვა რამ განგებით მოქმედებენ ასე. არა გვგონია კი, რომ ადგილობრივ ისეთ ლატაკთ რიცხვი არ იყოს, რომელნიც დახმარებას არ საჭიროებდნენ.

ასეთი მაგალითები ჩვენში ბევრჯელ მომხდარა, ბევრს ალაგას ამაზედ საუბარიც ჩამოვარდნილა და მრავალთ სინანულით უთქვათ, რომ შუა გულ ქართლის ქართველი სომხები რათ სჩადიან ასე, რომ თავიანთ საცხოვრებელს მცირე აზიაში გზავნიან და იმ კუთხის საზოგადო საქმეებს კი არას შველიან, სადაც მათ ეს სიმდიდრე შეიდგინესო! ეს წინააღმდეგია თვით მაცხოვრის სწავლა-მოძღვრებისა, რომელიც ხმა-მაღლა გვასწავლის გაჭივრებულთ, მახლობელთ, ძმათა და მეგობართა დახმარებას, სიბრალულს, სიყვარულს და შველას. ეს არ შეგვფერის ჩვენ. ნუ თუ შესაწყნარისია ის, რომ კაცი, სადაც სცხოვრობს, სადაც სენთქავს სუფთა, წმინდა კარგს ჰაერს და გემულობს მშვიდობის წყოფს, ანკარა წყაროებს, იქ სიმდიდრე შეიძინოს, მცირე რამ კი იმავ ალაგის საზოგადო საქმეებს არ შესწიროს და მთელი საცხოვრებელი შორს საცალა გაგზავნოს! ეს იმას ნიშნავს, რომ კაცი ვიწრო შეხედულობის იყოს და თავის და სხვათა ტომთა შორისაც სიდარიბეს არჩევდეს.

როცა ასეთ საქმეთა შესახებ სჯა დაგვიწყვია, სომეხთ მაშინათვე თამამად უთქვამთ: დალოცვილებო, თქვენი რა საქმეა, თუ მე ვის რას ვწირავ, ვისაც მინდა იმას შევსწირავ. ამაზედ ვის რა დავა აქვს, ჩვენ ჩვენის გვარის სასარგებლოთ ვწირავთ, თქვენც თქვენი გვარის სასარგებლოთ შესწირეთ, ვინ გიშლით. ჩვენ ჩვენი საქმისა ვიცით, თქვენ თქვენისა იცოდეთო- განა ამაზედაც დავა და ლაპარაკი შეიძლება! სომეხნი ასეთის პასუხის მხრით მართალნი არიან, მათი დაძრახვა ჩვენგან შეუძლებელია, ამის აბა რა იურიდული უფლება უნდა გვექნეს ხელში. ქართველს თუ უთქვამს რამე, ეს ყოფილა მხოლოდ ზნეობრივის მხრით, ძმურის სიყვარულით, ერთმანერთის პატივისცემით და თანაგრძნობით, თორემ სხვა

რა უფლების კარი და მისი გასაღები უნდა ყოფილიყოს ჩვენს ხელთ. ქართველს თუ უთქვამს რამე ასეთი. ეს უთქვამს თავის გულკეთილობით, მეამიტობით, იმ ძმურის სალამის და ძმურის მეპურმარილობის წყალობით, რომელიც ამ ერს ოდესმე მათთვის გაუწვდია და ხშირად მფარველობაც გაუწევია მუსულმანთა მტრების წინაშე. აი ამის საშუალებით თქმულა რამე.

ქართველებს გინდ რომ ასეთი დავალება არ ექმნეთ მათს წინაშე, გინდ რომ ასეთი ღვაწლიც არ მიუძღოდეთ, მაინც ჩვენ ერთად-ერთი ის გარემოებაც გვატანს ასეთი ვალდებულების კავშირის ძალას, რადგანაც ქართველნი და სომეხნი თითქმის მონათესავე ერად ითვლებიან, ორივ ენაში ხშირად ერთი სიტყვებიც კი იხმარება. ამას გარდა სხვაფრივაც დაახლოვებულ პირათ ვითვლებით, მაგალითებრ, მუსულმანთ მტრების წინაშე ხშირად ერთად გვიბრძოლია, ხშირად ერთს ჭირსა და ვარამში ვყოფილვართ ჩავარდნილნი, ერთად ავიც გვინახავს და კარგიც, ერთად მტრის წინაშე გვიტირნია კიდევაც და გაგვიხარნია.

გვინახავს ერთმანერთის ვაი-ვაგლახის, მწუხარება და მთეღის საუკუნოების განმავლობაში დიდის ტანჯვით და სისხლის ღვრით დაგვიფარავს ერთმანერთი. მართალია, ხანდისხან ზოგიერთა გარემოებათა გამო შინ უსიამოვნებაც მოგვხდენია, მაგრამ გარეშე კი, მტრის წინაშე, ყოველთვის ჩვენ ძმანი და მეგობარნი ვყოფილვართ. ბევრს ასეთს საქმეთა გარეშე გვინახავს ჩვენი სამშობლო ქვეყნის განწირული მდგომარეობა, მოვწრებივართ სომხეთის დამხობას და დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან ძირიან-ფესვიანად ამოგლეჯას, რაც ორივ ერისთვის მწარედ სატირალიც ყოფილა და საგლოვიცვანა ცოტა გვიგლოვია ჩვენი დაქცეული მშობელთ ადგილები ორივ ერს ერთად, ძლიერ ხშირად და ბევრს ალაგას. აი ამ ისტორიულმა გარემოებამაც უნდა იქონიოს გავლენა და მის საშუალებით მაინც უნდა მოქმედობდეთ კაცობრიულათ, მაგრამ რა გაეწყობა, როცა ეს ასე არ ხდება ჩვენს შორის.

უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთს საქმეთ წინაშე რამდენა-
თაც სხვები არიან დანაშაულნი, იმაზე მეტად თვით ჩვენ-
ვართ გასაკიცხნი. მართლაცა და მეტი ახირება იქნება? ვსთქვათ
ასეთი განჩინება: ქართველებმა სომხებს ადრე ძმურათ ხელი
გაგიწვდინეთ, ჩვენს მამულში შემოგიშვით და მფარველობა
გაგიწიეთ; შემდეგ, ჟამთა ვითარების მეოხებით ჩვენ დავეცით
და თქვენ კი წინ წახვედით, ამიტომ დღეს, თქვენ მოვალე-
ნი ხართ, რომ ახლა ჩვენს მამულში ჩვენ გამოგვიწოდოთ
ძმურათ ხელი და დახმარება აღმოგვიჩინოთ. ესეთი ბრძანება
იქნება მხოლოდ ჩვენი ახირება და ამ ახირების საფუძველათ
კიდევ ის უნდა დაგვშთეს, რომ სომხები ცარიელი მოდიო-
დენ საქართველოში, თავის ოსტატობით აქ ქონებას იძენდ-
ნენ და ეს ძირეული მოსახლე ქართველი კი თავის გამოუც-
დელობით, მიამიტობით და პურმარილით კი ყოველივეს ჰკარ-
გავდა, ცარიელი შთებოდა. ესეთი უბედური თვისება ქართ-
ველთა სამკვიდრებლათ გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს
ერი მუსულმანთა მეოხებით ძირიან-ფესვიანად ამოვარდა და
დაეცა. ქართველი თავის მამულში გახდა უძლური და ცარიე-
ლი, მას ხელიდამ გამოეცალა ქვეყნის გამგეობის ძალაც.

მერე, ვისი ბრალია ყველა ეს? — რასაკვირველია ჩვენი,
ყველაფერის მიზეზები თვით ჩვენის ოჯახიდამ იწყება, ჩვენის
გამოუცდელის და უზრუნველის ცხოვრებიდამ. ჩვენ ვფლან-
გავდით და ამ დანაფანტს სხვები ჰკრეფდნენ. XIX საუკუნის
დასაწყისამდე მთელი ტფილისის მამულები სულ ქართველების
საკუთრებას შეადგენდა. მაგალითებრ, სოლოლაკზედ ესახლნენ
ბარათაანი თავიანთის ყმებით, სოლოლაკის აქეთ შუაგულ
ქალაქს, სადაც დღეს ტფილისის გამგეობა არს, ქარვასლები
და სხვანი. მთელს ავანაანთ ხევზედ ესახლნენ ესტატე, ნიკო
და სხვა ციციშვილები თავიანთის ყმებით. გარეთ უბანს
ესახლნენ ორბელიანები თავიანთის ყმებით. ერთი სიტყვით,
მთელი ტფილისი მოფენილი იყო ქართველ თავად-აზნაურის-
შვილებით და მათის სახლებით, მთელი ორთაჭალის ბაღებიც
ამათ საკუთრებას შეადგენდა. ტფილისში არ იყო ერთი მტკა-

ველი მიწა, რომ 1801 წლამდე იგი ქართველის არ ყოფილიყოს და მასზედ ქართველივე არ სახელებულიყოს, შემდეგ კი რა მოხდა? ქართველების ყველაფერი გაქრა და მოსპობას მიეცა. დღეს, ამ ადგილებზედ ქართველთ სახელი ნატამალობს. ამ ნატამლობის მიზეზათ კიდევ აი არ გახდა:

დღევანდელი თამამშოვის ქარვასლის ადგილები გაყიდულ იქმნა ნ. ციციშვილის ვალში, ვალი იყო ორი ვერცხლის კულის, ორი კაცის საკაბესი და რამდენიმე დოშისა. ყველა ეს ადგილები მოვალე ვაჭარ თამამშოვს დაშთა. დღევანდელი თავად-აზნაურობის ქარვასლის შენობა ტფილისში აგებულ იქმნა 1805 წ. იგი ეკუთვნოდა გ. ციციშვილს. ციციშვილის საკვდილის შემდეგ ყველა ეს აუარებელი მამული გაყიდულ იქმნა გეურქაღა არწრუნის ვალში 5000 მანეთში და მასვე გეურქაღას დაშთა. ეს ის გეურქაღა არის, რომლზედაც ჩვენს მესტვირეებს „ხორველის ლექსიც“ აქვსთ გამოთქმული. შემდეგ კი ყველა ეს მამულები 500,000 მ. იქმნა სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავებული. როცა ეს მამულები თავადაზნაურობას დაშთა, მაშინ ამაზედ სომხებმა საუბარი ასტეხეს, რომ ქართველებმა ჩვენს გრიქორ არწრუნს, დიდის სომხეთის განთქმულს არწრუნიანს წყვრს მამული წაართვესო. წინეთ ვისი იყო ეს მამული და ან ვისი აგებული, ამასთან მათ საქმე არ აქვნდათ, თითქო გეურქაღას ტ მის შვილებს ეს ადგილები და შენობა არმენიიდამ მოესვენებინოთ საქართველოში. კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ერთის ქართველის რამდენმე ათასი საჟენი მიწა ერთ ვაჭარ სომხის 1000 მ. ვალში გაიყიდა, ყველა ეს მოვალეს დაშთა. ვერაზედ, გაბაშვილის რამდენიმე ათასი საჟენი მიწა ნაზაროვის ვალის 500 მ. გაიყიდა და იგი მასვე დაშთა. ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ, სადაც დღეს „ორიანტის“ სასტუმროა, მთელი ეს ადგილები შენობით ოქროპირიძე მღვდელს 60 მ. ვალში გაიყიდა, მას ვალი სომეხ ვაჭრისა ემართა, და მამულიც ამავე ვაჭარს დაშთა. დღესაც ეს პირია ხსენებული მამულის პატრონი. ასეთ ცნობების მოყვანას რომ შეუდგეთ, ეს მაშინ ერთობ შორს წავა, ყვე-

ლას ვერ მოვსთვლით. მაშინ ასე იყო საქმე და რაც ქართველთ ტფილისში მამულების დასყიდვა დაიწყეს, მის შემდეგ მათ სულ სოფლად იწყეს გარდასახლება, გარემოებამ იქამდის მიაღწია, რომ 1830 წლებში ტფილისი მთელის ქართველობით და მათის სახლკარებით და ბაღებით სულ სომხების წილად გახდა. ტფილისში შეინარჩუნეს თავი მხოლოდ რამდენმამე მოქალექე ოჯახებმა და ერთი მათგანი იყო იაკობ ზუბალაშვილის ოჯახი, გიორგი და ორიოდეც სხვა ქართველ მოქალაქენი, ეს არავინ იუცხოვოს.

ჩვენ, ქართველნი, მარტო ასეთის საქმით არ გახლდით უბედურნი და წყალწაღებულნი, არა ბევრი კიდევ სხვა ცუდი ბხარეები გვქონდა და ერთი იმ მრავალთაგანი არის ის გარემოებაც, რომ ქართველმა კაცმა პურმალილს გარეშე არ იცოდა სომეხივით ძმათა და მეგობართა საზოგადოს აზრით დახმარება, ცოდნა ეროვნულ საქმეთა გარემოების და ვითარება, საგვარტომო სიდიადის პატივისცემა, ქართული საჭირო წიგნების ბეჭდა, გლეხკაცობაში განათლების შეტანა, დროის შესაფერად მათში ვაჭრობის, მეურნეობის და ხელოსნების გავრცელება. უკეთ, ანუ მოკლედ რომ ვსთქვათ, ქართველი არ იყო თვალ ხილული თავის სამშობლო ქვეყნის ასპარეზზედ, მას თითქოს ეძინა, იგი ასეთ საქმისთვის მკვდარი იყო სიცოცხლის დროსვე და საუკუნოდ მკვდრათ შთებოდა სიკვდილის შემდეგაც. ძნელად, რომ ქართველს ჭამა, სმის გარეშე საზოგადო საქმისათვის რამე დახმარება ალმოეჩინა.

მთელს მეცხრამეტე საუკუნეში არ მომხდარა მაგალითი, რომ ქართველ კაცს ქართველ ხალხისათვის სადმე რამე შეეწიროს. ადრე რომ ვისმეს ეთქვა ქართველის კაცისათვის, რომ შენ ამა და ამ საქმეს რამე შესწირეო, ის განცვიფრებით მიიღებდა ამას და სხვებიც კიცხავს დაიწყებდნენ, რომ ეს უბედური რას იძახისო, საზოგადოებას, ან ამა და ამ შეუძლო პირით რამე დაუტოვეთო. გაგიჟებულაო, ეს რა გვესმისო. ასე იყო ქართველთ ვითარება გათახსირებული. ქვეყნის საქმე და მის ტრფიალება მაშინ არავითარ საუნჯეს არ წარმოად-

გენდა, ამის მოდავე არც არავინ იყო, თვით შეძლებულ თვალ-ხილული პირთაც კი ქვეყნის საქმე აინუშიაც არ მოსდიოდათ. რასაც მოწინავე ძალა ეტრფოდა და მისდევდა, იმასვე ჰბაძავდა და ზედ ეკვრებოდა მდაბიოთ რიცხვი. ამაზედ წარმოითქვა იმავე დროს, ილია ჭავჭავაძე რომ „ქვეყნის საქმე და საგეთ, მასაც ფეხებზედ ჰკიდიან“.

მე ვიცი ასეთი ნამდვილი მაგალითები: ერთმა წარჩინებულმა თავადიშვილმა გაყიდა მთელი მხარე, მთელი საუნჯე, მასში აიღო მილიონები. ამ მილიონებიდამ ერთი გროში თავის ერს და ქვეყანას არაფერს გაჭივრებულს საქმეში არ გამოაყენა. მთელი შეძლება სულ თამაშობაში შეჭამა. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს პირი უცოლშვილო პირი იყო და როცა სმა-ჭამის დროს საქართველოზედ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, მაშინ იგი მაღალის კილოიანის სიტყვებით ჭიქა შანპანსაც გადაჰკრავდა საქართველოს სადღეგრძელოდ. მაგრამ ამაოდ. მას არავითარი სიყვარული თავისის სამშობლო ქვეყნის და ერისა არას დროს არ ჰქონია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ არც მათგან დაირბევოდა და დაიტანჯებოდა აუარებელი შეუძლო ხალხი, ნამეტურ უმიწაწყლო გლეხკაცობა. მათი სადღეგრძელო სმის დროს წარმოთქმული მხოლოდ მათისავე გვამის სადღეგრძელოთ უნდა ჩაითვალოს. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უგვან მდიდარ ცხოველის წყალობით ჩვენს ქვეყანაში ძლიერ ბევრი გლეხკაცის ოჯახი აღგვილა, ბევრს მოჰღებია ბოლო. მეორემ გაყიდა რამდენიმე ათი ათასი დღიური მიწა-მამული, ტყეები და ამაში აღებული ფული სულ გაფლანგა ნადირობაში, ამის სადილები სოფლად იმართებოდა, სტუმრები მის ხარჯით ქალაქიდამ ეტლებით დაჰყავდათ. დღეში 30 კაცის სადილი იშლებოდა, საქმელების ჭურჭელი სულ ვერცხლის იყო. ამ დიდმა გვარის და შეძლების კაცმა ისე შესჭამა თავისი სიმდიდრე, რომ ერთი გროში, ცალი ფული ქართველთ არაფერში არ გამოაყენა. მესამე იყო კვალად დიდი შეძლების პატრონი, ეჭირა მთელს კავკასიაში უმაღლესი ადგილი. წელიწადში 70,000 მ. შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ ყოველთვის იმას იძახდა:

„თქვენმა მზემ რომ დავიდუბეთ, დუკმა ბური გაგვიწყდა, ვდარა გვაქვს, უბრალო აზნაურისშვილებიც ჩვენზედ კირგად სცხოვრობენო“.

მოკვდა ეს შეძლების პატრონი კაცი, მთელი ამის საცხოვრებელი მის მემკვიდრეს დაშთა მერმე ამ მემკვიდრემ ეს შეძლებ ისე შეჭამა, ისე გაფლანგა, რომ ერთი გროში, ცალი ფული არც ერთს საყრო საქმეს არ გამოაყენა. გარდა ამისა ესა და მის ამხანაგები ერთის მსახიობის ქალის ეტლში ცხენებათ შაებნენ და რაც ამას ძვირფასი საგვარეულო ნივთები ჰქონდა, ოქროსი, ვერცხლის, თვალმარგალიტის და სხვანი, ძველის ძველნი მეფეების დროისანი, ყველა იგინი, ე. ი. მთელი საგვარეულო მუზეუმი, მთელი საუნჯე სულ უცხო მსახიობ ქალებს და კაცებს უწყალობა. მთელის ერის საუნჯე უღვთოთ და უკანონოთ დააპნია. ამ პირმა ისე განშლო თვის დღენი, რომ თვისის მილიონებიდამ ერთის გროშით საწყალ ქართველობას არაფრით არ გამოადგა. ჩვენ ფაქტებით დავამტკიცებთ ბევრს რამეს, რომ ამათის ქონების შედგენის წყალობით ძრიელ ბევრი გლეხკაცის ოჯახი დაიღუპა, ბევრს მოელო უწყალოდ ბოლო. ერთმა ქართველმა მემამულემ დაიგირავა მეტად დიდი ძალი მამულები, აიღო ფულები და ამ ფულებიდამ მარტოდ 40,000 მ. სულ ეტლები დაიბარა რუსეთიდამ, დანარჩენიც სულ ისე შეჭამა, რომ თავის ერის გაჭივრებას ერთის კაპეიკითაც არ გამოადგა. ერთმა მდიდარმა ქართველმა მთელი ქონება სულ ქეიფობაში შეჭამა. 60 ძაღლს ინახავდა, ძაღლებს მომვლელნიც ჰყვანდა, მკურნალიც, ხანდისხან ძაღლებს რძესა და ბულკებსაც აჭმევდნენ. ერთმა მდიდარმა ქართველმა რამდენიმე შეძლებულნი პირნი ინდოეთში სანადიროთ დაჰპატიჟა და თან წაიყვანა. ერთმა მდიდარმა ქართველმაც სულ დროს ტარებასა, ლოთობასა და ფაიტონით სიარულსა და ასეთ საქმეებში გაფლანგა მთელი საცხოვრებელი.

ერთმა ქართველმა მემამულე თავადის შვილმა თავის გლეხებს დავა აუტეხა, მამულები წართო. გლეხ-კაცობა მას-

თან დავაში დაემხო. სიღატაკის წყალობით მთლათ აღიგავენ ედა მიწის პირიდამ, მოისპნენ ხორციელათაც და სულიერათაც, ამ საქმეების ჩამდენი საქართველოს ქართველი მამულის შვილი მეტად მდიდარი იყო. თავის მამულების სიმდიდრის ძალას სულ ქალალდში აგებდა. აქა იქ რამდენიმე არა კეთილ ქალებს დიდრონი შენობები აუგო. აქეთ მისგან დარბეული ქართველი გლეხობა ისპობოდა და იქით ამათგან წანატაცევით ეს მდიდარი ნავარდობდა, ქეიფობდა უზომოთ.

ერთმა საქართველოს ქართველ გვარი შვილის კარგმა შვილმა, ვითომც და მოყვარემ ქართველი ხალხის ცხოვრების, თავის მამულებში, რაც გლეხები ჰყვანდა, მთლად დაარბია, წაართო ყოველის ფერი, სიღარიბისაგან გამოწვეულ ურჩობისათვის სამართალში მისცა იგინი და ბოლოს აყრილი და დარბეული გლეხ-კაცობა დასჯილიც იქმნენ და აქა იქ გარდასახლებულნი. ამ საქართველოს საყვარელმა უღვთო ბედშავმა შვილმა ისე აანიავა თავის ქვეყნის ქართველი გლეხები, ისე ამოხუთა მათ პირში სული, რომ ვგონებ მათ ცოდვამ სამარეცკი დაუვიწროვოს. იქაც არ მოასვენოს-ეს მრავლად მჭამელი სვავი ხალხისა.

ერთმა ქართველმა მემამულემ ისე შეავიწროვა თვისი ხიზნები და გლეხები, რომ პირში სული აღარ შეარჩინა. გლეხები აწიოკდნენ, დიდს უძლურებაში ვარდებოდნენ, კარგი, რომ ამ დროს, გლეხების მხარე დაიკავა მთავრობის მოხელემ, თორემ გლეხები თავს ვერ გაიმართლებდენ და მთავრობაც დასჯიდა სასტიკათ. მერე ამ ბატონმა რა ქმნა ამ გლეხთაგან წანართმევი შეძლება—მთლათ შეჭამა, ისე გაფლანგა, რომ უკანასკნელ ვალებში შინაურს მეძებრებსაკი უყიდდნენ.

ერთ მეტად მდიდარ ოჯახის შვილებს აქვნდათ დიდი შეძლება, იგინი მონათესავენი იყვნენ ქართველთ ბატონიშვილებისაც. მათ აქვნდათ დიდი ძალი ნივთები ქართველთ უძველეს დროების, მეტად ძვირფასნი, ჩვენის ტომისთვის დაუფასებელი. მათ ყველა ეს ნივთები სულ დაყიდეს, შეჭამეს ამ ნივთების დიდი რიცხვი ერთმა ქართველმა გენერალმა შეი-

ძინა, მაგრამ სამწუხაროთ ვერც ამის მემკვიდრეებმა შეირჩინეს, მათაც დაფანტეს, დაკარგეს.

ერთმა მეტად მდიდარმა მემამულემ თავის გლეხთა საქმე ისე შებოჭა, ისე შეზღუდა, რომ გლეხებს სიმინდი და ქერიც არ რჩებოდათ საჭმელად. მერე ამოდენ შეძლებას, წანართმევს და წანატაცს თუ როგორ აპნევდა, ამის ანუსხვა ძნელია. ამ ცხოველმა ერთს სოფელის ხალხს შარი მოუდო, იქიდამ აჰყარა და დაარბია სულა, მიზეზი დარბევისა მისი მედიდურება იყო. დანარჩენის დიდი რიცხვი ისე გაფლანგა, რომ სადმე გაჭირვებულთ გროში არ მოახმარა. მთელი საცხოვრებელი ისე შეჭამა და გაათავა, რომ არსად ერთი გროშის არა შექმნა რა. გლეხებს ტყავი გააძრო, გაფცქვნა, პატარა ბავშვები დაატიტვლა, დაამშია და დაამხო ყოველივე.

ერთმა ქართველმა გაყიდა დიდი ძალი მამულები, სახლები, მთელი ქონება, გაყიდვამ ისე გაიტაცა, რომ მან თვით თავის სახლებიც აღარ შეინარჩუნა, თავის გლეხებს ხომ პირში სული ამოხუთა. დაარბია იგინი, აღარ შეარჩინა რა. ამ დიდმა გვარიშვილმა სულ ქალალდში გაფლანგა, ერთი კაპეიკი არავის დაუტოვა. ქალალდისაგან ისე იყო გატაცებული, რომ დილით რომ ადგებოდა პირს არცკი დაიბანდა, ისე ჩაჯდებოდა ფაეტონში და კარდა კარ ყომარბაზებს ეძებდა სათამაშოთ, მისი თამაშობის დაწყება იყო და შამპანის ბოთლების მიტანა. ისე გააქრო მთელი ქონება, რომ სიკვდილს შემდეგ გროშიც არ დასტოვა საქვეყნოთ, თუმც ქონების კი კიდევ ჰქონდა, იგიც თავისავე მსგავს მეგვარეს დაუტოვა. ამისაგან გამორეკილ და დარბეულ გლეხებით სავსეა ტფილისი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველთ შეძლებულ მემამულეებმა შეაჭმეს მთელი თავიანთი მამული, მთელი საქართველო. მთელი მამულები წაართვეს გლეხებს და მერე ეს წანართმევი დააგირავეს და შემდეგ დაყიდეს სულ სხვებზედ, უცხო შეძლებულ პირებზედ, რითაც მათ დაღუპეს თავიანთი გლეხებიც. ისე განვლეს სოფელი მათ, რომ გროში, კაპეიკი არავის გამოაყენეს. მათ ერთი პირიც არ დაიხსნეს განწირულ

უძლურებისაგან. ეს შეძლებულნი არას აკეთებდნენ თვით იმ დროსაც კი, როცა მათისავე გვერდით სომხები სხვა და სხვა სასარგებლო საქმეებს აუარებელს ფულებს სწირავდნენ. ამათგან სხვათა დახსნას ვინ ითხოვს, როცა იგინი თვით თავიანთ თავის დამხსნელნიც არ არიან, მათში ერთი არ კითხულობს ქართულ გაზეთებს, წიგნებს, ერთი მათგანი არ ეკუთვნის ჩვენს სულსა და გულს, ჩვენს სხეულს, ჩვენის ვითარების მათ არაფერი ესმით. იგინი ჩვენს სამშობლოს მხოლოდ ჭამა-სმით ეკუთვნიან და სხვა შეუსაბამო მოქმედებით.

ასეთ საშწუხარო გარემოებას, ქართველთ შორის სულ რამდენმამე კაცმა აუქცია გზა-კვალი და მხოლოდ იგინი გამოვიდნენ ჩვენს ცხოვრებაში ნათელ ვარსკვლავად. ერთი ასეთ პირთაგანი გახლავსთ სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, რომელის წინაპართ გვარის ისტორიაც საკმარისად გავიცანით. ახლა ამ პირზედ უნდა ვისაუბროთ. დაე ეს დაშთეს სხვა ქართველთა წინაშე თვალის გასახილებლათ, დაბრმავებულ და გადაგვარებულთ ყრუთა საუწყებლათ. უნდა მმოგახსენოთ, რომ როცა ეს წიგნი პირველად იბეჭდებოდ ამის ფურცლები სტეფანემ წაიკითხა და გადმოგვცა, რომ ეხლა ცოტა დაბეჭდეთ და მეორე გამოცემისთვის ცნობებს მოგცემთ შესავსებლათაო. ამიტომაც ჩვენ მცირე ოდენი დავბეჭდეთ პირველ გამოცემის დროს, ცალკე წიგნად. პირველი გამოცემა აქა იქ დაიფანტა, ვინცკი წაიკითხა, იგი კვალად ითხოვდა ამ წიგნსა, მაგრამ სიმცირის გამო წიგნი აღარ იყო, ამაზედ მრავალთ სტკიოდათ გული. ყველა ამბობდა, რომ ასეთი წიგნის ასე მცირედ დაბეჭდვა როგორ შეიძლებაო, ეს წიგნი რამდენიმე ათასი უნდა დაიბეჭდოს და საერთოდ გავრცელდეს ხალხში, რომ სამაგალითო ადამიანს მიმბაძავნი გამოუჩნდნენო. ჩვენც შევისმინეთ საზოგადოებიდამ ასეთი გამოწვეული ხმა და ეხლა ეს წიგნი მეორეთ დავბეჭდეთ. ისიცკი უნდა მოგახსენოთ, რომ სტეფანე კოსტანტინეს ძე ძრიელ ერიდება სხვებისაგან მიძღვნილს ქება დიდების, მას ეს არ ესიამოვნება და ყოველთვის ბრძანებს, რომ „მე თუ რამეს

ვაკეთებ, იმიტომ კი არა, რომ ვინმემ მაქოსო, არამედ იმიტომა, რომ ამისთანა საქმეს ყოველი ადამიანი მოვალე არისო, რომ მან თავის ქვეყნის და ერის ტრაპეზედ თითო აგური დადოსო, ასევე ვალი ყოველი ჭეშმარიტ ადამიანისა და მეც ამ ჭეშმარიტების ვემსახურები, ვემსახურები ისე, რომ ეს არც სხვებისთვის დარჩეს საწყენადო“ ეს სიტყვა თვით სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილს ეკუთვნის. ხმა მღვთისა და ხმა ერისაო. ჩვენ მის წყენას ვერიდებით, ამიტომ იმედია, რომ იგი საზოგადოების დავალების პატივს სცემს, საზოგადოების თხოვნას მიაქცევს ყურადღებას და ამიტომ ამ წიგნის მეორე გამოცემისათვის არ გვიწყენს. იმასაკი ვიტყვით, რომ ეს წიგნი ხალხში ისე მიდის წინ, რომ მას მრავალჯერ ექმნება შემოთხვევა გამოცემისა. ყველა ეს ჩვენ აქ მიტომ მოვიყვანეთ რომ მით გაგვეცნო მკითხველისთვის თვით სტეფანე კოსტანტინეს უპირატესი შეხედულება ამ წიგნზედ, მისი ბრწყინვალე ჰაზრები მყუდროდ ანუ უჩინრად უხმაუროდ მოქმედებაზედ. თვით სტეფანე კონსტანტინეს ძემ რამდენიც უნდი დაფაროს თავის მოქმედების კეთილი ცნობები, ამ ცნობებს მაინც ქართველი ერი არა ფარავს, ყოველი მათგანი სიამოვნებით იგონებს თავის ქვეყნის უდიდესი მამულისშვილის ქველმოქმედებათა ცნობებს. ვგონებთ, რომ მეტად დიდი სიმპატიური საქმეა და თან სალაპარაკოც რომ სტეფანე კონსტანტინეს ძემ „წერაკითხვის სამართველოს“ 25 წლის არსებობის გამო 10,000 მ. შესწირა. ვგონებთ ესეც საკმარისია ჩვენს გათხსირებულ დროსა და ქართველებურ, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის საქმეების შესახებ ეს წიგნი თამამად მიგვეძღვნო და მეორედაც დაგვებეჭდა ხალხის საჭიროობის გამო, იმედია, რომ სტ. ზუბალაშვილი ამაზედ არ დაგვემდურება, ეს არ დამდურება მისგან ქართველი საზოგადოების პატივის ცემა იქნება.

II.

დასანატრია ისეთი შვილი, რომელიც ადამიანის ღირსებით თუ არ უსწრობს თავის მამას წინ, უკან მაინც არ ჩა-

მოუვარდება და საქებია ის შვილი, რომელიც თავის მოქმედებით მამაზედ უაღმატებულესად დასდგება, ცხოვრების ასპარეზზე ერთი ათად მეტს ადამიანობას რა მამულიშვილობას გამოიჩენს, ცხოვრების გზას ნათელის თვალით აღბეჭდავს, თავის მოქმედების ხსოვნას საუკუნოდ უკვდავათ ჰყოფს. ასეთი პირნი პატივსაცემნი არიან არა მარტო მით, რომ მათ სხვა და სხვა საქმეებს ხელი გაუწვდინონ და შესწირონ რამე, არამედ საყურადღებონი არიან მითაც რომ მათ გვამში ჩანერგილი აქვსთ ხალხის ცხოვრების დაკვირვება, მათი სავალალო მეგობრების სიყვარული და თანაგრძნობა, საქმე ეს გახლავსთ და ეს არის საყურადღებო, რომ ასეთი სამკაული მრავალ-ჩენილთა შეძლებულთა გვამში სულ ვერ იკიდებს ბინას. მეტად იშვიათი საქმეა ესა. ამით უფრო არიან მისაბაძნი და საყურადღებონი. იქმნება ასეთი იშვიათი პირებთაგან სხვებმა მაგალითები აიღონ.

სწორეთ ასეთ პირათ უნდა მივიღოთ სტეფანე კონსტატინეს ძე ზუბაშვილი, რომლის ადამიანური ღირსება, ჰუმანიური მხარე და იდეები სწორე საყურადღებო უნდა იყოს ყველსთვის. სტეფანე კონსტანტინეს ძე თვისის ადამიანურის, ანუ კაცად-კაცურის მოვალეობით მამაზედ მაღლა დასდგა, ამას ყველა თვალხილული ადამიანი ნათლად დაასაბუთებს და სწორეთ ეს ღირსებაა საყურადღებო და სანატრი ქართველერის ცხოვრებაში. ასეთი პირების მოვლენა მეტად იშვიათი საქმეა, უმაგალითო. თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი სამშობლო ქვეყანა მრავლის შეძლებულის პირით არის სავსე, მაგრამ რა გამოვიდა ამ რიცხვით, როცა კაცად-რიცხვი მასში ერთობ იშვიათად მოიპოვება, აქ არ სჩანს ისეთ პირთ რიცხვი, რომელთაც საქართველოს ერის სიყვარული გულში ჰქონდეთ მოზვავებული. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ ხომ არც ამას იტყოდა ილ. ჭავჭავაძე:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
რომ ამდენს ხანში შენს კიდეზედ კაცი არ არის!“

სტეფანე კონსტანტინეს ძე ჯერეთ ახალგაზრდა კაცია,

ორმოც წელს მცირედ გადასული, მაგრამ მასთანვე შესაფერის გარეგან და შინაგან ჯანის ძლიერებით სავსე, სახე და შეხედულება აქვს ისეთის პირისა, რომელსაც კარგად ატყვია დიადი შრომის ბეჭედი. თუმც მის გამომეტყველებას არა აქვს მაინცა დ მაინც ისეთი შეხედულება, რომ მან მნახველს ამცნოს თვისი შრომის-მოყვარეობის წყალობით მოქანცულობა, მაგრამ მაინც მცირედ ნახვის და საუბრის დროს ყოველი პირი ცხადათ დარწმუნდება მაზედ, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძე უნდა იყოს თავის დროის კვალად საკმარისად ნამუშევარი, მრავალ ნაირს ქარ-ცეცხლში განვლილი. ეს შეხედულება ჩვენ მასზედ პირველის ხილვიდგანვე შევადგინეთ და მცირე ხნის შემდეგ კი თვითვე სტეფანე კონსტანტინეს ძემაც წარმოსთქვა ასე:

— დიახ, ბატონო, ცოტა ხანში შაველ და მით ჯანსაც კარგად ვატყობ, რომ ის, რაც წინეთ იყო, დღეს აღარ არის, ამიტომ ბორჯომს ვაპირებ დაშთენასო.

დასანატრია ასეთ მამულის შვილითა შრომის მოყვარეობის მაგალითები. იგი აღსანიშნია ჩვენგან მედიდურებით და თან ქართველთაგან მისაბაძიც. ხომ მოგეხსენებათ, ჩვენში ასეთ შრომის მოყვარეთა რიცხვი ერთობ მცირეა, ასეთი კაცების უეჯლობით მეტად ღარიბნი გახლავართ.

ეს ყვალასითვის ცხადია, ჩვენ შეძლებულთა და ქონების პატრონთა შვილების წინაშე შრომის მოყვარეობის მიმართვა მთლად არის ამოვარდნილი. ქართველი მოწინავე შრომის ასპარეზედ მძინარეა, უმოძრავო, უქიარი. ქართველებმა ამით ვისარგებლეთ თავი. ჩვენი ბრძენი მწერლები სულ ამას ჰგოდებდნენ და ვალალებდნენ. თვით დიდის გვარის და ოჯახის შვილი ვახტანგ ორბელიანი სწერდა ასეთ პირებზედ თვის გულის წყრომას: — „სწავლის წინ სმა და ძილი, შრომის წინ ზარმაცობა“ და ბევრიც სხვა ამ გვარნი. რამდენჯერ უთქვამს პოეტს შემდეგი სიტყვა: — „ნეტივი თქვენა, რომ ჩვენს უზრუნველს და ზარმაც თავობას არ მოესწარით, იტყოდა „ისინიც არ ვარგანან, თუ ვინმე მათ სჯობიანო“. კაცი არ იყო ჩვენ-

ში რომ იმას საქმის დი შრომის სიყვარული ჰქონიყო, რაკი მოსვენებას მივეცით თავი, მერე ჩვენ საქმეთ სმა, ჭამა და ძილი შეიქმნა.

შეძლებულ გვამთა პატივცემა რამდენაირაც პატარა ერთ შეუძლიანთ, იმდენათვე მუშებს, ამათზე მეტად კი შეძლებულთ; რამდენათაც შეუძლიანთ ასეთი პირები ადიდონ პატარა ტომის ერთა, იმათზე უფრო უძლიერესად შეუძლიანთ აქონ და ადიდონ მძლავრთა. თქმა არ უნდა, რომ ბურების და უმაღლესად განვითარებულ ცივილიზაციის მექონ კულტურულ ინგლისელთ შორის დიდი გარჩევა უნდა იყოს. მოგეხსენებათ, რომ ყველგან მძლავრნი იჭერენ ადგილს; იგინი იზიდვენ ყველას ყურადღებას, ყველას პატივისცემას და ნდობას, ხოლო რაც შეეხება პატივისცემის აღმოჩენას მძლავრთაგან უფრო მძლავრია და მისაზიდი, ვინემც უძლური. საქმე აქ არის, აქ უნდა შეჩერდეს ყოველი პატიოსანი შესმენილი მამულისშვილი, აქ მან ცხადლივ უნდა გაარჩიოს თვისი მოვალეობა მის მხრივ, თუ იგი ვისი მომხრე უფრო უნდა იყოს. ეს სულიერი მხარე ადამიანისა ბევრს ალაგას აუწონიათ და დაუწონიათ, მრავლთათვის უსმენიათ თვისი მოვალეობა, ვისაცკი მცირედ მაინც აქვს შეგნება, იმას უეჭველია ესეთი სულიერი ვალდებულება ადამიანისა კარგად ეცოდინება, იმას ჩვენი განმარტება არ უნდა. ვისაც არ აქვს მისი გაგება და შეგნება, ის კიდევ რა უნდა იყოს და რა არსებას უნდა წარმოადგენდეს, ასეთი პირები ევროპის წარჩინებულ მწერლებს მრავლად და ნათლად აქვს დახატული თვის ნაწერებში და ამიტომ ჩვენ აქ აღარას ვიტყვით.

ქართველ კათოლიკობას უაღრესად სწამთ მაცხოვარის მცნება უძლურთა შებრალების შესახებ. სწორეთ ამის უტყუარი ნიშან-წყალია სტეფანე კონსტანტინეს ძე. მაცხოვრის დავალების თანახმად იგი თავის ადამიანურ ღირსებას სწორედ ჩინებულად ასრულებს. მან კარგად იცის ის გარემოება, რომ დახმარება და შველა ისე არავის ესაჭიროება, როგორც შეუძლოს და დამცირებულს. ეს არის ვალი ყოველის პატიო-

სანის ადამიანისა, ეს დავალება ძველადგანვე იქმნა გამოთქმული არა მარტო «სახარებაში», არამედ სხვადასხვა ბრძენ მეცნიერ და ფილოსოფოსებთაგანაც. იგივე სავალდებულო მცნება წარწერილია ჩვენის დროის მშვიდობის მყოფელთ განვითარებულთ მოქალაქეთა დროშაზედ, რომლის ქვეშაც თავს იკრებს და ჯგუფდება კაცთა საუკეთესო ნაწილი, სტეფანე კონსტანტინეს ძემ ჩაინერგა ქართველთ ერის პატივისცემა, პატრონობა და სიყვარული. აბა რა ფიქრი უნდა, რომ ამით მან უძლურთ გულში მოიპოვა უმაღლესი ჯილდო, უმაღლესი პატიოსნების ნიშანი. ქართველ ერში სტეფანე კონსტანტინეს ძის სახელი არა დროს არ ამოვარდება, მისი სახელი და საქმენი ყოველი ქართველის გულში მოიპოვებს ადგილს, იქ დაფუძნდება მისი მკვიდრი უკვდავების ტახტი, სადაც აღმართული იქნება სტეფანეს ქველ-მოქმედების ნიშნები. ამ ნიშნებს ქართველობა დიდხანს ატარებს თავის გულით, უბით და კალთით. მას შთამომავლობა შთამომავლობას გარდასცემს და ოდესმე მოხუცებულნი ჭაბუკთ ქებით მოუთხრობენ, როგორც სტეფანე კონსტანტინის ძის უზომო მამულის სიყვარულს, ისევე მისის ძმებისას, მოთხრობილის ამბებით ბევრი გასალდება და აღფრთოვანდება.

უნდა ითქვას, რომ მემკვიდრეობითი თვისების გარდმოცემას დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს. ეს ცხადია, ამიტომ არ შეიძლება რომ სტეფანე კონსტანტინეს ძეს თავის დედის თვისების არაფერი ექმნეს გარდმოცემული. დედა მისი გახლდათ მეტად დარბაისელი ადამიანი. მაღალის სათნოებით სავსე, გლახაკთ შემბრალე, უძლურთ მწე, ერთის სიტყვით, თავის დროს უდიდესი მაგალითი ადამიანობის და მიტომაც გახლავთ, რომ მისი შვილებიც ასეთის თვისების არიან. ჩვენს დროში ასეთი პირების მოპოვება ერთობ ძვირია, იშვიათი, ისიც ქართველებში. იშვიათია უფრო შეძლებულ პირებში, სადაც მოქალაქური ბრძნული იდეები უფრო უადვილესად ილახება, სადაც დილიდან საღამომდის მხოლოდ დალიესი, ოამაშობის და ასეთ საქმეთა მეტი სხვა არა ისმის რა!

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბაშვილის მშობლების ოჯახი ასეთი თვისების არას დროს არ ყოფილა, აქ ამის მაგალითის არა ქმნილარა და მიტომაც მოხდა, რომ შვილებიც ასეთის დასანატრის თვისების გამოვიდნენ ამაზედ არის ნათქვამი ილ. ჭავჭავაძისაგან.

„დედამ რომ შვილი კაზარდოს ემაგრე ჩვენისთანა“.

ამ ღირსებას არც სხვა მისი ძმები არიან მოკლებული, ყველას ნათლად ულვივის ადამიანობის ნაპერწკალი, კაცთმოყვარეობის სხივები. ყოველი მათგანი სრული მორჩილი და მოთანხმეა ერთ გულის ძმის სტეფანესი. ეს ვითარება მათში გარდმოცემულია ძველებურის ქართულან ოჯახურის წეს-ჩვეულებით. უფროს-უმცროსობას ძველად ქართველებში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი და სწორედ წყალობა იყო, რომ ვიდრე ქართველთ ეს სანუკარი მხარე მჭიდროთ ჰქონდათ შენახული, მინამდის მათს შინაგან ვითარებას ვერავინ სძლევდა. როცა მათში ეს დაეცა, როცა ძმათა შორის მძულვარება ჩამოვარდა და ერთმანეთს დაუწყეს მტრობა, მერე კი დასცეს მით ქართლის ბჭენი. ამაზედ სწუხს პოეტი, როცა ამბობს,

„სულ ძირს დასცეს ქართლის ბჭენი“.

სტეფანე კონსტანტინეს ძეს და მის ძმებს ეს საგვარტომო გარდმოცემა უაღრესათ სწამთ, მათ კარგად იციან მამა-პაპათაგან, რომ უფროს უმცროსობის დარღვევით და ძმათა არ სიყვარულით ვერც ერთი ოჯახი ვერ დასდგება ფეხზედ და მიტომ ყოველი მათგანი ნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ოჯახში სტეფანე კონსტანტინეს ძე საპატითდ ითვლება. იგი, როგორც მშვიდობის მფენელი, ძმუროს — ადამიანობისა, სიყვარულისა, სიბრალულისა და დიდის სათნოებისა, რომელიც ყველგან და ყველა ოჯახში დიდს პედაგოგიურს ზეგავლენას უნდა ახდენდეს ოჯახის ყველა წევრებზედ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენის დროის გათახსირებულს ქართველებში, ხშირად, ეს ისე არ არის, აქ სულ უბრალო საქმის გამო ძმა ძმას ებრძვის. მამა

შვილს, ცოლი ქმარს და სხვა. ერთი უბრალო რამ საქმე მათში ჰბადავს დაუსრულებელს ბრძოლას, მტრობას, კამათს და ვინ იცის რას არა. ერთი უბრალო მუთაქის გულისთვის ძმები ჩხუბს აჩენენ, ბოლოს საქმე იქამდის მიდის, რომ მუთაქასაც კი შუაზედ სჭრიან. იყოფენ ყველაფერს, ინაწილებენ, უკანასკნელ ნაწილდებიან თვითონაცა და ბოლოს მით ეცემა მათი ძველი მკვიდრი ოჯახიც.

ბევრს ალაგას დაეცნენ ჩვენში მძლავრი ოჯახები, ბევრს ალაგას გამოეთხარა მათ საძირკველი. ყველა ეს ხდებოდა იმის წყალობით, რომ ოჯახის წევრთ შორის არ იყო მკვიდრი სიყვარული დაცული, შანახული. ამ გარემოებას ჩვენ უფრო ვითხოვთ ჩვენს მდაბიოთაგან, რომელთა ოჯახის ვითირება აუცილებლათ ითხოვს მას. სანატრელია, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძის და მის ძმების სამაგალითო თვისება ქართველთ შორის მარჯვნივ და მარცხნივ მისაბაძი გახდეს, მას ყოველი ქართველი ითვისებდეს, რადგანაც სტეფანე კონსტანტინეს ძე არის ამ სასარგებლო მხარის უტყუარი ნიშან-წყალი, რაც სამწუხაროდ იგი სხვებში კი ერთობ იშვიათია. რა გაეწყობა, ესეც ჩვენი უბედურება არის.

სტეფანე კონსტანტინეს ძე, როგორც წესია ქართველებში, პატარაობიდგანვე დედის გავლენის ქვეშ იყო, შინ სამზადის გარდა და წერა-კითხვის შესწავლის მერე, იგი სწავლობდა ტფილისის კლასიკურს გიმნაზიაში. სადაც დაამთავრა სწავლა, სწავლის დამთავრების უმალვე ბაქოში საქმეების მართვას შეუდგა. მისმა ერთმა თანამედროვეთაგანმა, მნახველმა და მცნობმა მეგობარმა მიამბო, რომ ჭეშმარიტებით უნდა ითქვასო, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძე ყველგან ჩინებულს ადამიანურს თვისებას იჩენდაო. იგი ადამიანურის თვისების სუფთა მაგალითი იყოვო, სწორედ სანატური სათნოებაო. ეს, რასაკვირველია, მართალი უნდა გახლდეთ, რადგანაც ამის ნიშნებს ჩვენ მათში დღესაც მკვიდრათ ვპოვებთ.

მოგეხსენებათ რომ

„წარსული არის მშობელი მომავლისაო“.

ეს უტყუარი ჭეშმარიტება გახლავთ, ესევე ჭეშმარიტება მრავალთ მეცნიერთ მწერლებისაგანაც არის წარმოთქმული. უმაღლესად კაცის განვითარება, გონებით განსპეტაკება და უძლურთა სიყვარული, ნიადაგ უცბად ვერსად გაიდგამს ფესვს, ვერსად მოიკიდებს იგი სწრაფად ბინას, თუ იგი კაცში თანდათანობით არ აღგზნებულა და ნელ-ნელა არ განვითარებულა. შეუძლებელია, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის ჰაზრების და მიმართვის მსგავსი მხარეებით ვისმეში უცბათ აღორძინდეს, მთლად დაინერგოს და განსპეტაკდეს, ეს არ შეიძლება. რომ ასე არ გახლდესთ, მაშინ ხომ ჩვენ ასე დაქვეითებულებიც არ ვიქნებოდით და სტეფანე კონსტანტინეს ძის მსგავსი კაცებით სავსე იქნებოდა ჩვენი სამშობლო ქვეყანა,

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი, კარგა ხანია რაც ბაქოში სცხოვრობს, იგი იქ განაგებს თავის მამულების ანუ ნავთის საქმეებს, ნავთის საქმის ასპარეზზედ იგი მოქმედებს და შრომობს თავის ახალგაზდობიდამ. როგორც განათლებულ კაცს, თავის საქმის ვითარება შესწავლილი აქვს ისე, როგორც ეს მოეთხოვება ყოველ განათლებულ პირს. ნავთის წყაროების პატრონობა ისეთი საქმე გახლავთ, რაც აუცილებლად ითხოვს განათლებულ პირთა პატრონობას, თუმცა შეიძლება პატრონობა გაუნათლებელმაც გასწიოს, მაგრამ რა გამოვა, იგი მაინც და მაინც არ იქნება ჭკვიანურის მხარეებით დაგვირგვინებული; ნავთის საქმეთა პატრონობა არამც თუ მცირედ-განათლებულ პირთა რიცხვს თხოულობს, არამედ ღრმად, უმაღლესის სწავლითაც კი განათლებულთ, რომელთაც, რაც მეტად ეცოდინებათ სხვადასხვა მეცნიერება, მით მათ უფრო კარგად შეეძლებათ პატრონობის გაწევა, საქმის მართვა. ერთის მხრით სწორეთ ამის წყალობა უნდა გახლდეთ, რომ ზუბალაშვილების სანავთო საქმის წარმოება იმავ თავიდგანვე კარგს გზაზედ დასდგა, მომავლისთვის მან შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო. დღეს თუ სადმე ერთი და ორი ფირმა იგულისხმება და სახელოვნებს, იქ არც სტეფანე კონსტანტინეს ძის სახელი ჩამორჩება, იგი შესამჩნევს ადგილს დაიკავებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ესეც ერთი დიდი ღირსებაა ქართველის კაცის და თან მეტად სამედიდურებელიც. ხომ მოგეხსენებათ, რომ ამ ერთი საუკუნის განმავლობაში ხშირად წარმოთქმულა ისეთი აზრები, რომ ქართველ კაცს შნო არა აქვს აღებ-მიცემაშიო, ქართველნი არამც თუ დიდი ვაჭრობის, ანუ მრეწველობის ასპარეზზედ გამოიჩენენ ნიჭსა, არამედ თვით უბრალო ვაჭრობის ასპარეზზედაც ვერ გამოვლენ თამამათაო, ესეთი ლექციების წარმოთქმის გარეშე, იგი ხშირად ჟურნალ-გაზეთებშიაც უსტამბავთ. ეხლა კი სტეფანე კონსტანტინეს ძის და სხვათა მისთანების სამაგალითო საქმეებით და ცოდნით ჩვენ სრული უფლება გვაქვს თავიც ვიქოთ და ვსთქვათ კიდეც, რომ ქართველ კაცსაც აქვს შნო, არამც თუ მცირე რამ აღებ-მიცემის, არამედ დიდის სამრეწველოს და სავაჭროს საქმეების წარმოებისაც. აქ ამის შესავსებლათ დავასახელებთ დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილსაც.

სტეფანე კონსტანტინე ძე რომ მთელის თავის ცხოვრებით და მოქმედებით უდიდეს შრომის და საქმიანობის უტყუარს ნიშან-წალს წარმოადგენს, ეს იქიდამაც სჩანს, რომ დღემდე იგი უცოლოდ არის დაშთენილი. შეძლებულის კაცისთვის ასე დაშთენა ერთის მხრით ძნელი არის და შეუფერებელიც, კაცს შეძლება ჰქონდეს და ამ ბედნიერებას კი ასცდეს!. მის ცხოვრებაში სხვა რა უნდა იყოს სანატრი და სანუკარი, ამაზედ მეტი უმაღლესი ჯილდო აბა კაცს რა უნდა ჰქონდეს, ყოველი ადამიანი თავის საბოლოვო არსებითს მხარედ მხოლოდ ამას სთვლის, ვინც ამას ვერ ასრულებს თავის ცხოვრებაში, იმას თავისი თავი უბედურათ მიაჩნია. არიან ისეთი პირნიც, რომელნიც ცოლ-შვილიანობას სიღატაკის გამო ვერ ეკიდებიან, ცხოვრების ეშინიანთ, ამის მსგავს სურათებს ძრიელ ხშირად ვხედავთ მუშებსა და ხელოსნებში. ბევრი მათში ამ მხარეს შეუძლებლობის მეოხებით ასცდება ხოლმე, ბევრი კი მარტოდ მიბაძვის, ანუ გონების ცდუნების და გაფუჭების და გათახსირების, რასაც შემდეგ სრული გახრწნა მოჰყვება ხოლმე. სამწუხაროდ ეს უბედურება მუშებს და ხე-

ლოსნებს ძრიელ ცხადათ ეტყობათ, ასეთ პირთა რიცხვი მათში ერთობ დიდია, ამის მიზეზები იფარება ცხოვრების წესების ღრმა საიდუმლოებაში, რომლის შეტყობა და გაგება მრავლთათვის ცხადია უკვე და ამიტომ აქ ჩვენ სხვას აღარას ვიტყვით.

რაც ვსთქვით შეუძლებელ მუშათა და ხელოსანთ ცხოვრების და გარემოების შესახებ, იგივე ითქმის თვით შეძლებულ პირებზედაც. შეძლებულ პირთ შორისაც იგივე მხარეები არსებობს, რაც შეუძლებლებზედ ვსთქვით. მხოლოდ აქეთ უფრო ხშირად ბოროტის მედიდურებით და თავმომწონებით ხდება, ვინემც ცხოვრებაზედ დაკვირვებით და მის წესების კარგად ცოდნით. ბევრს ალაგას შეძლებულ პირთაგან უამისობით დიდი ძალი ქონება იფლანგება და იღუპება. აქ საქმე ქონებაზედ არ არის, აქ ხშირად ის გარემოება გახლავთ საყურადღებო, რომ იგი არც კარგია შეძლებულ პირთათვის, მავნებელია, მისის წყალობით უადვილესად ირღვევა პირად უფლებათა მხარეების შემოფარგვლის დედა აზრები, მისი ზნეობითი განვითარება. შეძლებულ პირს დრო აღარ ჰყოფნის ქეიფებისთვის, სხვადასხვა სუნოვან ვარდთა ყნოსვისათვის, მათის ფიქრით საამქვეყნიერო დიდებას მხოლოდ ეს მხარე შეადგენს და მიტომ ხშირად ჩვენი მდიდარი კაცის შვილებიც ისე თახსირდებიან, იგინი უცოლშვილოდ ისე განვლენ ამ სოფლით, რომ ერთ კაპაიკსაც კი არავის შესწირვენ. მათ დავიწყებული აქვთ ის გარემოება რომ ყველა მათებურს მდგომარეობაში არ არის მოთავსებული, ყველა მათებურათ არ ხაროობს. ასეთნი პირნი ისე გარდიცვლებიან, რომ სიკვდილის დროს ერთი კეთილი საქმის გაკეთების ხსოვნაც არ მისდევთ თანა. იგინი ამ სოფლად მოვიდნენ მხოლოდ მიტომ, რომ ჭამეს, სვეს, დრო გაატარეს და მით განვლეს სოფელი, გარდაიცვალნენ.

სტეფანე კონსტანტინეს ძე კი ასეთ ჯურის ხალხისაგან ერთობ შორს სდგას, იგი არ ეკუთვნის მათ დასს, მას ნათლად აქვს ადამიანური ვითარება გათვალისწინებული, მას განურჩევლად მიაჩნია ყველა ადამიანისშვილი. მისთვის ეს ორივ ერთი უნდა იყოს, ოღონდ ჩვენ ტომის ძეთა შორის,

კარგი ქართველი მამულისშვილები მრავლად გამოვიდნენ, თორემ მისთვის ორივ ერთია, გინდ მისი ნაშენი ყოფილა და გინდ სხვისა, აქ საქმე მარტო ადამიანობაზედ არის დამოკიდებული. საქმე ძვირფასი მხარეა კაცისა, ღირსება და არა ნაშენობა, ნეტა კარგი კაცი იყოს და იგი ვისი შვილიც უნდა იქნეს ორივ ერთია.

განა ცოტა ალაგას მომხდარა, რომ შვილს თავის მამისთვის თოფი დაურტყავს, დღე გაუმწარებია- ასეთ შვილთა რიცხვი, ვისიც უნდა იქნეს, გინდ სხვისი ყოფილა და გინდ საკუთარი. ამას სტეფანე კონსტანტინეს ძე ნათელის თვალით უმზერის და მიტომაც არის, რომ იგი არავის ყურადღებას არ აქცევს, მას თანასწორად აქვს ხელი გაწვდენილი, როგორც თავისიანისთვის, ისევ უცხოსთვის. სწორედ ეს მაღალი განსჭვრეტითი მხარეები ჩაითვლება მის საფუძვლათ, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძე დღემდე ასე დაშთა. ამით იგი არავის რას უფუჭებს, არავის რას უხდენს, ნაცვლად მისა, იგი მით ამაღლებს კიდეც თავის ადამიანურს თვისებას, და მით მალამოსავებ ევლინება მრავალთ გაჭივრებულთ ცხოვრების საქმეს. სტეფანე კონსტანტინეს ძის ასეთი ცხოვრების მხარე არის სამაგალითო, მისაბაძი, ნათელი სარკე მრავალთ შეძლებულთ პირთათვის.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი დაიბადა 1860 წ. ქ. ტფილისს. იგი არის საშუალო ტანისა, ევროპიულს სწავლა-განათლების და ენებს გარდა, იცის ადგილობრივი ენებიც და ნამეტურ ქართული ენა, ე. ი. დედა-ენა. ქართული ენისა მას დიდი ტრფიალება აქვს და საუბრის დროს რამდენათაც სხვადაასხვა ენებზედ ლაპარაკობს, იმაზე მეტს ქართულად. მაინც ქართული ენის მფარველობა ქართველ კათოლიკებში საღმრთო ვალად არის მიჩნეული. ამ ენის ტრფიალება ქართველ კათოლიკობას ისე აქვს განღვიძებული, რომ ოდესაც ტფილისში პირველად კვირის ქართული გაზეთი „დროება“ გამოიცა, მის გამომცემლად იქმნა მესტამბე ქართველ კათოლიკე სტეფანე მელიქიშვილი და ამავე გაზეთის დამხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი იყო იმ დროის ტფილისის ქართველ კათოლიკეთ მოქალაქე მდიდარი სტეფანე ზარაფიშვილი—ზარაფოვი.

დღეს ხომ ქართულ ენას მფარველად სტეფანე კონსტანტინეს ძე უხდება. სტეფანე რამდენათაც თავის დედა-ენა უყვარს, ისევე უყვარს მის ძმებს და სხვათაც, მათს სამშობლო საუნჯე ეს ენა შეადგენს და როგორც წეს-რიგია ძველებურათ შენახულის სუფთა ქართულის ოჯახისა, ამათ სახლშიაც ქართული ენა მეფობს, იგი სუფევს მკვიდრად; მას ამათს ოჯახში ისე ვერაფერი შეარყევს, როგორც ეს სხვა ქართველთ ოჯახებშია გამეფებული. სტეფანეს და მის ძმების ოჯახი ქართული სულიერი ოჯახია და სხვებისა კი ჩონჩხს წარმოადგენს. ეს უბედური წესები და ქართული ენის დამხობა არსებობს ისეთს ოჯახებშიაც, სადაც მის ნაცვლად იგი აყვავებულ უნდა იქმნას· აქ ესეთი მამულიშვილები ქართულ ენაზედ ლაპარაკს ალარც კადრულობენო!..

რამდენათაც სტეფანეს და მის ძმებს უყვართ თავიანთი დაქვეითებული სამშობლო, იმაზედ მეტად უფრო პატივს სცემენ მის ისტორიას ყოველ ნაირს მხრით. მაგალითებრ, სტეფანეს დიდი სურვილი აქვს და ნატვრა დასავლეთ საქართველოს აღწერის და გაცნობის, ნამეტურ ქართველ მაჰმადიანების, რომელთ რიცხვიც ერთობ დიდია და რომელთ არსებობა ყოველ ‘ვეგნებულ ქართველს გულში მწუხარებას უნდი ჰგვრიდეს. ვისთვის არ უნდა იქმნეს იგი საყურადღებო და საწუხი!.. ნახევარი სამშობლო და მასში მცხოვრები ქართველი ერი ხელიდამ წაგვივიდა, მოგვეგლიჯნენ საყოველთაოდ, მათის უმეტეს ნაწილში დაეშხო ქართული ენა, მოისპო ყოველივე ჩვენი და ქართველნი მოიძულებენ თვით ქართველთ. დღეს ნამდვილ თათრები არიან.

ნუთუ ასეთი კუთხის ყურადღების მიპყრობა საყურადღებოთ არ უნდა ჩაითვალოს? ჩათვლით კი, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ასეთ პირთა რიცხვი ჩვენში ძრიელ ცოტაა. ისეთ წრეებსა და ოჯახებში კი, როგორსაც სტეფანე კონსტანტინეს ძე ეკუთვნის, ხომ სულ სანთლით საძებარია. სხვა ქარ-

თველთ შეძლებულ პირთა ისიც კი არ იციან, რომ ოდესმე ხსენებული კუთხე ქართველების საკუთრებას შეადგენდა, იქ ქართველის ტომით იყო ისევე მოფენილი, როგორც ეს ქართლს, კახეთს და იმერეთში არს. ამ კუთხის შესახებ ჩემი საუბარი ერთხელ სტეფანემ დიდის სიამოვნებით მოისმინა. მას ზედმიწევნით აქვს გათვალისწინებული, როგორც ქართველ მაჰმადიანთ ვითარება, ისევე ის გარემოებაც, რომ ამ კუთხემ და მისმა ქართველობამ განვლო ბნელი, მეტად სამწუხარო მხვედრი. უკანასკნელ დაკარგა ქრისტიანობა და ხსოვნაც.

როგორც საქართველოს შვილს და სარწმუნოებით ქართველ კათოლიკს, მას ძრიელ ეთანაღრება გული მასზედაც, რომ საქართველოში ქართველთ კათოლიკეთ არსებობას ზოგიერთნი მკაცრად არღვევენ, მათს არსებობას მკაცრად ეშესაბამებიან. ამაზედ დიდი კამათიც ამტყდარა ხოლმე, და უეჭველია ჯერეთ კიდევ ბევრს ილაპარაკებენ. ყველა ამ გარემოების გამორკვევას სტეფანე ისეა მოწადინებული, რომ მან ხსენებულ კითხვების შესახებ წერას და ბეჭდვას ხელიც შეუწყო. თითქმის მისის მეოხებით შეჰკრიბა რომის არქივებში მამა თამარაშვილმა დიდი ძალი ისტორირლი მასალები, ამის წყალობით ისულდგმულა მან და თვით შეკრებილი ნაწერი მასალებიც ამისავე ფულით გამოიცა.

მეც სტეფანე კონსტანტინეს ძემ წამახალისა და მომცა იმედი დასავლეთ საქართველოში მგზავრობის აღწერის და მის დაბეჭდვისა. მე რამდენჯერმე მიმოვვლე ხსენებული კუთხე და ყველა ჩემი ნაწერების გამოცემაც მან იკისრა. აქ საქმე წახალისებაა და არა სხვა რამ გარემოება, მე ვერა ღონისძიებით ვერ დავივლიდი ყველა ადგილებს, რომ ამ დავლის და აღწერის დაბეჭდვის საქმით სტეფანე კონსტანტინეს ძეს არ წავეხალისებინე. აი დღეს უკვე შესრულდა კიდეც და მისის სურვილისამებრ იბეჭდება ყოველივე მასალები, როგორც ქართველ კათოლიკობაზედ, ისევე მთელს დასავლეთ საქართველოზედ.

ქართველ ტომის სასარგებლოდ სტეფანე იქამდე გულ-

მოწყალეა, რომ მან უპირველესად დახმარება აღმოუჩინა თვიურ საყმაწვილო ჟურნალ «ჯეჯილს». ამ გამოცემის დახმარება მეტად დიდი სიმპატიური საქმეა, რადგანაც „ჯეჯილი“ საყმაწვილო ჟურნალია და მისი არსებობა მჭიდროდ არის შეკავშირებული ჩვენი მოზარდ თაობის ხეირიანათ აღზრდასთან. როგოუც ერთად-ერთი ამ გვარი ჟურნალი, იგი ფრიად საჭიროა ჩვენთვის და ამიტომ სანატრელია, რომ იგი დაუბრკოლებლად გამოდიოდეს. ეს კარგათ ესმის სტეფანე კონსტანტინეს ძეს და ამიტომ იგი მუდამ ეხმარება მას. ეს კი ისეთი მოვლენაა, რომ სტეფანე კონსტანტინის ძის ასეთი საქციელი სწორედ რომ სამაგალითო და მისაბაძია, რადგან ჩვენში ღარიბ ჟურნალების დახმარება ერთობ იშვიათად იციან.

ჟურნალ-გაზეთობა არსებობს შესმენილის ნაწილისთვის, შეუსმენელი ნაწილი კი დაშთენილია უიმისოდ. მისთვის არაფერი არსებობს, არც ჟურნალ-გაზეთობა, არც წიგნები, არც სხვადასხვა საჭირო დარიგება, არც მეცნიერება არც ასეთი წიგნები. მართალია ქართულს ენაზედ ამ ბოლოს დროს სამეცნიერო წიგნების წერით შრომა იწყეს, მაგრამ მაინც იგი საკმარისი არ არის. ამიტომ ამ სამწუხარო გარემოებას სტეფანე კონსტანტინეს ძემ ჯეროვანი ყურადღება მიექცია და ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტორს ივ. როსტომაშვილს დახმარება მისცა, რომ მან სხვადასხვა საჭირო სამეცნიერო წიგნები ჰბეჭდოს მდაბიოთათვის, მდაბიურათ განმარტული. აქამდე უკვე დაბეჭდილია ოცამდე სხვადასხვა სამეცნიერო იაფფასიანი წიგნები. სხვათა შორის თვით რუსულ-ქართული თვით მასწავლებელიც კი დაისტამბა მისის დახმარებით.

მდაბიო ხალხის წინაშე მეცნიერულის წიგნებით სამსახური ისეთი ძალაა, ისეთი მხარე, რომელსაც ვერაფერი ვერ შეედრება. მდაბიოთა ცხოვრებაში აბა როგორ რა უნდა გაუმჯობესდეს და წავიდეს წინ, თუ მას ხელძღვანელი არ ეყოლება. დრონი იცვალნენ, მდაბიო ხალხი თვალს ახელს; მუშები და ხელოსნები გამოვიდნენ შრომის ასპარაზზედ, ეხლა მათთვის დადგა ხანა თვალის გახილების, გამცნების, ადამია-

ნად არსებობის და მით უკანასკნელ თვისის პიროვნების შემოფარგვლის, რათა მისის საშუალებით დაცულ იქმნეს მათი ცხოვრება. ხოლო ამ საქმეთა მოწესებისათვის დიდს საჭიროებას შეადგენს მუშების და ხელოსნების გამცნება, მეცნიერულად მომზადება, სამეცნიერო წიგნების კითხვის ნიადაგის დამკვიდრება, მეცნიერული წიგნების გამოცემა, მთელი სახალხო მწერლობის დაარსება. მთელის ევროპის ერთა შორის ხალხის განათლება ესე დაწყობილა, უბრალო ხალხის მეცნიერულს გზაზედ დაყენება ასე მომხდარა და რაღა ფიქრი უნდა, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძეს ეს დიადი ჭეშმარიტება კარგად უნდა ესმოდეს და მიტომაც ისურვა მან ქართულს ენაზედ მდაბიოთათვის მდაბიურად განმარტულ სამეცნიერო წიგნების ბეჭდვა.

ნათლად სჩანს, რომ სტეფანე დიდი პატივისმცემელია სამეცნიერო საგნებისა.. ამას სხვათა შორის ცხადათ ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ ოდესის უნივერსიტეტის ქიმიის ფროფესორს ვასილ პეტრიაშვილს სტეფანე კონსტანტინეს ძემ დიდი თავაზი, ღიდი პატივცემა მიაგო ბორჯომსა და ბაქოში. იგი დღეები სამახსოვროდ ჩაითვლება მეცნიერის პროფესორის ცხოვრებაში.

საერთოდ, სტეფანე კონსტანტინეს ძე, ქართველი ხალხის ცხოვრებას და მის მიმდინარეობასაც თვალ-ყურს ადევნებს, მრავალ მხროვნად, ამიტომ იგი იბარებს ყველა ჟურნალ-გაზეთებს, როგორც თავის დედაენაზედ, ისევე რუსულს და უცხო ენებზედაც. ქართული მწერლობის ასპარეზისთვის მას დიდი წარმატება სურს, დიდი ქომაგობა. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს დაიშვიათებულს დროში, სწორეთ დიდის მამულისშვილობის მექონი ადამიანი უნდა იყოს ასეთი კაცი, რომ მას ქართველთ უხეიროობისაგან გული არ გაუფუჭდეს, გონება არ შეემწიკვლოს, და კეთილ საქმეთა ლტოლვა არ გადაებანოს. სტეფანე კონსტანტინეს ძე სწორედ ასეთ პირთა მაგალითად უნდა ჩაათვალოს მეტადრე ქართველებში, სადაც ასეთის მტკიცე ხასიათის, ანუ აზრთა უცვალებელის პირის ხილვა მეტად იშვიათი გახლავთ.

არა მგონია, რომ ჩვენი ცხოვრების ასპარეზზედ მოიძებნოს ისეთი რამ დარგი, ანუ ნაწილი, რომ იმას სტეფანე კონსტანტინეს ძე თავის ძმებით პატივს არ სცემდეს. ივინი დიდი პატივისმცემელი არიან ქართველთ ძეთა განათლების და მიტომაც მათგან ბევრს ქართველ გაჭივრებულ კაცისშვილს მისცემია დახმარება სწავლის მისაღებათ, როგორც ტფილისის სასწავლებლებში, ისევე რუსეთის და საზღვარ-გარეთის უმაღლეს სასწავლებლებშიაც. მათის წყალობით ბევრს ღატაკ ქართველ კაცის შვილს დაუმთავრებია სწავლა, ბევრი გამოსულა განწირულებიდამ და ცხოვრების გზაზედ დამდგარა. ასეთის მაგალითების მოყვანას რომ გავყეთ, ეს ერთობ შორს წავა. ჩვენი კალამი ვერ ანუსხავს- რადგანაც რაც მათ მოწყალება ურიგებიათ, ყველა იგი ჩუმად, ისე, რომ მარჯვენა მკლავის ნამოქმედარი მარცხენასაც კი არ გაუგია! ასეთ საქმეთ ასპარეზზედ პირველი სამაგალითო საქმეა მათი ღვაწლი, შეუდარებელი, მასთან მეტად იშვიათი, სამთლით საძებარი. თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ ჩვენს სამშობლოში შეძლებულ პირთა რიცხვიც არ არის მცირე, მაგრამ რა გამოვიდა მით, როცა იგინი ჩვენის ერის საქმეებისათვის მკვდრები არიან. ორმა ქართველმა ქალმა, უდიდესის თავადისშვილების ცოლებმა ორ წელიწადში ორი მილიონი ფული შეჭამეს, ოჯახი დააქცევს უსარგებლოდ, ეს ამბები მთელმა ქალაქმა, მთელმა ქართველობამ იცის, მაგრამ მათ ერთი კაპეიკიც კი არ გამოაყენეს ქართველთ საქმეებს. ასეთი გმირებით არის ჩვენი ქვეყანა სავსე, მერე რომ იცოდეთ ისიც, თუ ამ პირებს ვისგან შეუძენიათ თავიანთი შეჭმული ქონება!?. ქართველის საცოდავის გლეხების, ხელოსნების და მუშების გამხმარის ძვლებიდგან... ამათგან აუგიათ მათ თავიანთი შეძლების ფუქსავატი ტაძარი...

ასეთ ღარიბ-ღატაკ გლეხთა და ხელოსანთ დახმარების დედა აზრებს სტეფანეს გულში დიდი ადგილი აქვს მოპოვებული. იგი ქართველ გლეხობას უცქერის მაღალის სიბრალულით. მის გულში მათს პატივცემას და დახმარებას არას

დროს არ მიეცემა დავიწყება. მაგალითსაც მოგახსენებთ: მესხეთში, ანუ ახალციხის მაზრაში, ქართველთ რიცხვი ერთობ გასაჭირს მდგომარეობაში ჩავარდა, ხალხი გამრავლდა, რადგან მათ არა აქვსთ საკმარისი მიწა-მამული. მათი გარემოება ისე მოეწყო, რომ ამის მეოხებით მრავალ ქართველმა გლეხებმა არტაანისაკენ და გუმბრისაკენ იწყეს ვადასახლება. ამ გარემოებას პატივცემულმა პატრმა დონ გაბრიელ ასლანიშვილმა ყურადღება მიაქცია და მესხეთის სოფელ უდიდგან რამდენიმე კომლი ქართველთ კათოლიკეთ გლეხებისა გორში გადმოასახლა და დაასახლა საბატონო და საეკკლესიო მიწებზედ. ახლად გადმოსახლებულ გლეხებს საქმე ძრიელ გაუჭირდათ, შაგრამ რას იზამდნენ, გარემოებას უნდა შეჰრიგებოდნენ. ამ ახლად მოშენე გლეხებს სტეფანე კონსტანტინეს ძემ 1000 მ. გაუგზავნა და დაავალა, რომ ამით მათთვის ოთხფეხი საქონელი ეყიდნათ. საქონელი უყიდეს, მათს ლოცვას და მადლობის გადახდას საზღვარი არ აქვნდა, ყოველთვის სტეფანეს და მის ძმებს ლოცავდნენ. უნდა აინიშნოს, რომ გლეხთა წინაშე მათგან ასეთი წყალობა პირველი არ არის. ესენი ძრიელ ხშირად და ბევრს ალაგას დაჰხმარებიან საწყალ ქართველთ უმიწაწყლო გლეხ-კაცობას, ნამეტურ ღატაკებს.

რამდენათაც სტეფანე კონსტანტინეს ძე მაღალის სიბრალულით არის სავსე შეუძლო გლეხთადმი, იგი იმდენადვე აღფრთოვანებულია მუშა ღა ხელოსნების ცხოვრების და მდგომარეობაზედ. მუშა ხალხს სტეფანე და ამისი ძმები უმზერენ მაღალის ადამიანურის პატივცემით. ამათში ვერ ჰპოვებთ ვერც ერთს აზრს, საქმეს და მოქმედებას, რომ იგი მუშათ და ხელოსანთ ცხოვრებას და კეთილ-დღეობას რამით ეწინააღმდეგებოდეს. სტეფანეს გული და სული სწორეთ მუშათა და ხელოსანთა სიბრალულით ნარნარებს, იგი ისე დიადათ ბრწყინავს, როგორც ერთის მსწავლულის სიტყვით სხვათა სარწმუნოებათა შორის მაცხოვრის სწავლა ბრწყინავს.

აწინდელ დროში, როგორც ჩვენში, ისევე ევროპაში, ხელოსნები და მუშები ძრიელ უჩივიან შეძლებულ პირთ, მათ

თითქმის მცარცვავებათ სთვლიან და შეუძლებელ მუშა ხალხის დამწიოკებლებათ. ერთის მხრით ეს მართალიც გახლავთ და ძრიელ ბევრს ალაგას იჩაგრება და იდევნება მუშა ხელი. ასეთის პირებისაგან დიდათ განირჩევა სტეფანე კონსტანტინეს ძე. იგი არის კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება, სიყვარული ძმათა, მეგობართა და შეუძლებელ ხელოსანთა და მუშაკთა. ის რაც სხვადასხვა მდიდრებზედ ითქმის, იგი შეუძლებელია ითქვას ამაზედ. ამათი სიმდიდრე არ შემდგარა იმ ჯურღმულისაგან, იმ ტანჯვა-ვაებისავან, რის საშუალებითაც სხვადასხვა მდიდრებს შეუდგენიათ თვისი შეძლება. არც ერთს ხელოსანს და მუშას არ შეუძლიან ამის წინააღმდეგ რამე სთქვას.

ჩვენი საუბარი რომ მართალი და უტყუარია, ამას გამოაჩენს და დაამტკიცებს ძრიელ ბევრი ჭეშმარიტი ფაქტიკური ცნობები, მაგრამ ჩვენ ჩვენის მოსაზრებით სჯას თავს დავანებებთ, ჩვენ ვისაუბრებთ უფრო ძრიელს ცოცხალს მხარეზედ, ცოცხალს ვითარებასა და იმ დამოკიდებულებაზედ, თუ თვით დღეს, ამ დროს, როცა ეს წერილი იწერება, რა გვარი კავშირი აქვს სტეფანე კონსტანტინეს ძეს თავის მახლობელს ხელოსნებსა და მუშებთან. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს, ბაქოში, თავის სანავთო მამულებში ჰყავს მუშა ხელოსანი ხალხი, ამათ შესახებ აი რასა სწერდნენ ამას წინათ ჟურნალ „მოგზაურში“:

„ბაქოში ბევრს ადგილობრივს მკვიდრს და უცხოელს აქვს ნავთის ადგილები, აქვთ აქ იგი ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეთაც და სხვათა შორის ცნობილს ქველმოქმედ ზუბალაშვილებს. უკანასკნელების სანავთე ადგილების ფაქტიური მასულდგმულებელი დღეს სტეფანე კოსტანტინეს ძე ზუბალაშვილია, ზუბალაშვილების დღევანდელი კეთილდღეობა კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ სიმდიდრის შესაძენად როდი კმარა მარტო სიმდიდრის წყაროს ქონვა, ბევრს ჩვენს სხვა თანამემამულეთაც ჰქონდათ და დღესაც აქვთ ბევრი ამისთანა და, იქნება უკეთესიც, სიმ-

დიდრის წყაროები ვითარცა თვალ-უწვდენი მთა-ვვლები, ვენახები, მადნები და სხვა, მაგრამ, დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ მარტოდ ამათი ქონვა არა კმარა-მეთქი აქ საჭიროა კაცი, აღვსილი ცოდნით, ხასიათით, ენერგით, შრომის-მოყვარეობით, ფრიადის გულის-ყურით და სხვა მისთანა სათნოებით. თუ კაცში არ არის ყოველი ეს, მაშინ თვით გენიოსიც რომ იყო, ყოვლად უნუგეშო და უსარგებლო იქნება თვით ოქროს მადნებიც!. განსვენებული კონსტანტინე ზუბალაშვილისაგან დაწყებული სანავთე საქმე, რომელსაც ერთ დროს მან ანაცვალა თვისი საუკეთესო ქონება, უმშვენიერესი სახლი ტფილისის სასახლის ქუჩაზედ, დღეს თუ ძველებურადვე შეურყევ-ლად წინ მიდის და სწარმოებს, სწორედ მისი ღირსეულის შვილის, სტეფანეს, პირადი ხასიათით, ენერგით, ცოდნით, მზრუნველობით და სიფრთხილით აიხსნება ეს, თორემ, განა სხვებს კი არა ჰქონდათ ბევრი ამისთანა სიმდიდრის წყაროები, რომ თვისი უმაქნისობით ერთ-ორ წელიწადსაც ვერ შეინახეს მამა-პაპათაგან გადმოცემული სიმდიდრე და, ვინ იცის, ვის არ ჩაუგდეს იგი ხელში!.. ჩვენ თითონ განგებ დავათვალიერეთ ზუბალაანთ სანავთე ადგილები. ვნახეთ მისი ყოველი წვლილი და უნდა გამოვტყდეთ, რომ ყველაფერი აქ ისე წესიერად, ისე მშვენავრად არის მოწობილი, რომ მტრის თვალიც კი წუნს ვერ დასდებს მას.

ზუბალაანთ სანავთეს უკავია ათ დესეტინამდის უუშვენიერესი მომაღლო ადგილი ზედ კასპიის ზღვის პირზედ, ასე რომ სანავთე აუზები ზედ ზღვის მომაღლო კიდით სდგას და ნავთი აქედამ პირდაპირ გემებში ისხმება. მოხსენებულს სივრცეზედ ამართულია ჯერჯერობით 19 „ვიშკა“, ამოთხრილია ორი უშველებელი ტბა, სადაც გროვდება და სუფდავდება დოლექვითჭებიდამ ამოხეთქილი ნავთი (თითოში ჩავა რამდენიმე მილიონი ფუთი ნავთი), დადგმულია ორი უშველებელი თუჯის ქვაბი, რომელშიაც მეხანიკურის ძალის შემწეობით გადაჰყავთ ნავთი მოხსენებულ ტბებიდამ, ხოლო აქედამ მილის შემწეობით პირდაპირ განგებ ამისათვის დანიშნულს გემებში

ისხმება; გამართულია რამდენიმე სახელოსნო მანქანების თუ სამუშაო მოწყობილების და იარაღების საკეთებლად და, დასასრულ აგებულია ორი უშველებელი სახლი ყველაფრით უკლებლად მოწყობილი (აბანოებით, სამზარეულოთი და სხ.) მუშებისა და საზოგადოთ სარეწში მოსამსახურეთათვის. თუ სადამდის გონიერად არს ყოველი ეს აქ მოწყობილი, სჩანს იქიდამ, რომ ყოფილ ხოლეროობის დროს, ზუბალაშვილებს აქ არც ერთი კაცი არ მოჰკდომიათ და არც მათს ოომელიმე მუშას ხელი არ აუღია მუშაობაზედ, რადგანაც ეს საშინელი სენი აქ მათ სრულიად არ მიჰკარებია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბ. სტეფანე ზუბალაშვილი, თავის მუშებს და საზოგიდოთ მოსამსახურეებს, რომელთ რიცხვი აქ ოთხას კაცზედ მეტია დიდის თავაზიანობით და კაცთ მოყვარეობით ეჭცევა. სასყიდელს ყველას უხვად და ღირსებისამებრ აძლევს, არ სტოვებს არც ერთს კეთილ შემთხვევას, რომ იგინი ზედ მეტით არ დააჯილდოვოს და სხ. ერთი სიტყვით სტეფანე ზუბალაშვილი აქაურებს ისე ჰყავთ დასახული, როგორც ჩვენს უკვდავს შოთას რუსთაველს უთქვამს:—«იყო ღვთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი მოწყალე, განგებიანი».

ვგონებთ ამ წერილის ბოლოს სტრიქონები კარგად ხატვენ სტეფანე კონსტანტინის ძის ადამიანურს ღირსებას, ძის პიროვნებას და კეთილშობილურს ხასიათს. ჩვენს დროში განა ცოტანი არიან ასეთნი პირნი, რომელთაც გარემოებაც ხელს უწყობს და შეძლებაც, რომ იგინი თავიანთის ზნეობითითის მხარეებით საწყალი ხალხის და ნამეტურ მუშების პატივის მცემლები იყვნენ. იგინი პატივს სცემდნენ არა მარტო თვის მუშებს, რომლებთანაც მათ საქმე აქეთ და სამუშაო, არამედ სხვათაც, რომელნიც მათთან არ მუშაობენ, მაგრამ საერთო ცეცხლის ალში კი იწვიან. ასეთი ყალიბის შეძლებულ პირებით სავსეა ყოველი კუთხე და ყოველი ქარხანა. მადლობა ღმერთს, რომ ზუბალაშვილები ასეთის პირებისაგან მკაცრათ განირჩევიან და იგინი ითვლებიან ერთს საუკე-

სო მუშა ერის თანაგრძნობ მფარველად. ამაზედ ჩვენ რომ არა ვსთქვათ რა, ამას უკეთესათ ასაბუთებს შემდეგი წერილიც, რომელიც დაბეჭდილი იყო 1903 წ. „ივერიაში“ ცნობილი პატივცემული ქართველ მწერალი სამართლიერად და აღტაცებული სჯ.ს სტეფანეს შესახებ და თან მადლობასაც აცხადებს თავის სასოებაზე მოყვანის გამო. ამიტომ ეს წერილი მოგვყავს მთლად.

„ჩემს გაკვრითი შენიშვნებს ბაქოს შესახებ ისე ვერ გავათავებ, რომ დასასრულში არ შევეხო ერთს დიად საქმეს ნავთის წარმოებისას.

მართალია ეს საქმე კერძო კაცის თაოსნობის ნაყოფია, მაგრამ მას ჩვენთვის, ქართველებისათვის, საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მისი პატრონი ქართველია.

თუ რომ სხვა ცოტად თუ ბევრად წარჩინებულ ერთ ჰყავთ ბაქოს სამრეწველო ასპარეზზედ თავიანთი წარმომადგენელნი, მათ ვაჭრობა კულტურის გამომხატველნი, არც ქართველების სახელია სრულიად უხსენები, ვინაიდგან ბაქოს ნავთის მწარმოებელ საუკეთესო ფირმათა შორის ზუბალაშვილის ფირმას საპატიო ადგილი უჭირავს.

სხვისა რა მოგახსენოთ და მე-კი რაღაც ეროვნულ სიამაყესა და უზომო კმაყოფილებასა ვგრძნობდი, როცა ბ-ნ ზუბალაშვილის ნავთის წარმოების ადგილს ვათვალიერებდი, მისის ნათესავის ბ-ნის დავით ანტონის ძის ზუბალაშილის დახმარებით, რომელსაც დიდ მადლობას ვწირავ.

ასე მეგონა, თითქოს მთელი ჩვენი ეროვნული ძალა, ჯერ-ჯერობით უტყვი სავაჭრო-სამრეწველო სამფლობელოში, აქ მოგროვილაო, დიდის ხნის განმავლობაში მდორი, დაგუბებული, აქ ამ უცხო ადგილას, აღმოხეთქილა იგი, ვით მედგარი, შეუპოვარი შადრევანი ნავთისა და ჩვენს სასახელოდ აჩვენებს ყველას, რომ ქართველსაც შეუძლიან დიდი საქმის შექმნა-წარმოება,

განსაკუთრებით საგულისხმიერო გახდება ეს საქმე ქართველთათვის, თუ წარმოიდგენს, რა დაუცხრომელი ენერგია,

განსაკუთრებით უნარი და ალღო იყო საჭირო, რათა ეს საქმე საქმედ მოგვარებულიყო.

„ბიბი-ეიბათი“, საცა ახლა ფიცხელი წარმოებაა ნავთისა, ამ ოც-და-ათის წლის წინად, სანაგვე ადგილი იყო და მაშინ ვინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე „ოქროს ფსკერად“, გადაიქცეოდა, როგორც ამ ჟამად ეძახიან.

მაგრამ შორსმჭვრეტელმა ალღომ განსვენებულის კონსტანტინე იაკობის ძის ზუბაშვილისამ (მამა სტეფანე ზუბალაშვილისა) იქ აართვა გეში, საცა სხვა სანაგვეს მეტს ვერას ხედავდა, და 1873 წ. ზღვის პირად შეისყიდა ათი დესიატინი ადგილი საკუთარებათ.

ამ რიგად, ბიბი-ეებათში პირველი ბარის დამკვრელი, ჩვენდა სასახელოდ, ქართველია.

სხვებს თურმე სიცილად არ ეყოთ ასეთი მოქმედება განსვენებულის ზუბალაშვილისა, მაგრამ იგი მაინც არ აჰყვა საზოგადო ხმას და დადგა საჭვრეთელი (ბურავაია). მაშინ საქმის მოწყობა მეტის-მეტად ძვირად ჯდებოდა, რადგანაც რკინის გზა გაყვანილი არ იყო. ბიბი-ეიბათის მიწამ ნაყოფიერება ვერ გამოიჩინა; ნიადაგი იმ თვისებისაა, რომ საჭიროა ღრმად გაუარო—250—300—350 საჟენამდე და მხოლოდ მაშინ გამოდინდება ნავთი უხვად.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ და მოკლედ მოვსჭრი: ერთის სიტყვით, ბევრი რამ გაჭირვება თურმე გამოსცადა განსვენებულმა; სხვა მის ადგილას, რამდენჯერმე დაანებებდა საქმეს თავსა, მაგრამ, როგორათაც მტკიცე ხასიათის ადამიანს, სასოება არ ეკარგებოდა და იმედიც გაუმართლდა. მეოთხმოცდამეათე წლებში ნავთმა ძალუმად ამოხეთქა და აუნაზღაურა რაც ნივთიერი ზარალი, თუ ზნეობრივი ტანჯვა-ვაება გამოევლო. ერთი შადრევანი თურმე ორის წლისა და ორის თვის განმავლობაში ამოჩუხჩუხებდა, რაც ნავთის წარმოების მატიანეში მაგალითად არა ყოფილა. უკანასკნელ ხანში, აღარ მახსოვს, რა წელს, მეორე შადრევანი ექვსის თვის განმავლობაში თურმე ისვრიდა ნავთსა, დღეში 800 ათას ფუ-

თამდე. მართალია, მაშინ ნავთის ფასი ისე დიდი როდი იყო, როგორც ახლაა, მაგრამ უზომო რაოდენობა ნავთისა მაინც დიდი ფულს იძლეოდა.

ბ.ნ ზუბალაშვილის წარმოების ადგილი ზღვის პირადაა და ნაყოფირებით საუკეთესო ნიადაგი თურმეა. ზღვაში გადაკიდულია ორი ნავთ-საყუდელი, რომელთაც დღე მუდამ ადგება სანავთო გემ-ნავტიკები და მიაქვს ნავთი შავ ქალაქში. ზუბალაშვილს ფირმას სამს უმთავრეს ფირმასთან თურმე აქვს საქმე დაჭერილი: როტშილდისა, ნობელისა და „მაზუთის“ ამხანაგობასთან (ეს ფირმები, იმას გარდა, რომ თვით არიან მწარმოებელნი აგრეთვე ადგილობრივაც ყიდულობენ ნავთსა, ამუშავებენ და საზღვარ-გარედ ასაღებენ).

ამ ჟამად ზუბალაშვილების ადგილზე 32 „ვიშკა“ დგას: იმ ოც და თორმეტში მოქმედებს 21 და 9 გაჩერებულია; ამ 21-ში 15 უკვე ნავთს იძლევა ხაპირის მზგავს ამოწურვის საშუალებით; 5-ში კი საჭვრეთელს ამუშავებენ, ე. ი. საჭვრეთელის საშუალებით მიწასა სთხრიან და ხვრელში მილებს უშვებენ, ვიდრე ნავთამდე მიაღწევენ; ამას გარდა ოთხი ახალი „ვიშკა“ კიდევ იდგმის; ორი უკვე მზად არის და ელექტრონის ძალით მოქმედებს; ორსაც მალე დაასრულებენ და და იმავე ელექტრონის ძალით იმუშავებს.

ყოველდღიური რაოდენობა ამოღებულ ნავთისა 30—40 ათას ფუთს უდრის, ასე რომ აწინდელის ფასის მიხედვით დღეში ათას-ექვსასი თუმანია შემოსავალი.

თვიური მუშა ხელოსანი 264 კაცია; ამას გარდა—50 კაცამდე დღიური მუშაა, რომელთაც მოიჯარადრე ამუშავებს.

მუშები ეროვნებით ასე განიყოფებიან:

ლეკები	180	კაცი.
რუსები	40	კაცი.
სპარსელები. . . .	25	კაცი.
ყაზანელი თათრები . .	14	კაცი.
სომეხი	4	კაცი.
ქართველი	1	კაცი (მესხიძე).

საზოგადოდ მუშათა შორის ქართველთა რიცხვი მცირეა. რვა კაცი კიდევ ჩეხია, რომელთაც აბარიათ სხვა-და-სხვა სახელოსნოები: სამჭედური, ელექტრონის სადგური, იარაღის საწყობი და სხვა. ორიც ნემენცია და ერთი ებრაელი.

მუშის სასყიდელი 18 მანეთიდგან 25 მანეთამდეა თვეში, ამასთანავე მათ წელიწადში ორჯერ საჩუქარი ეძლევათ—საახალწლოდ და სააღდგომოდ; აგრეთვე ეძლევათ საჩუქარი, როცა ნავთი ამოხეთქავს ხოლმე. რაკი მუშებზედ დავიწყე ლაპარაკი, ბარემ დავასრულებ კიდეც: მუშებს აქვთ სადგური—ცოლიანშვილიანებს ცალ-ცალკე, ზოგს ოთახი და სამზარეულო, ზოგს ორი ოთახი და სამზარეულოც. უცოლ-შვილონი დიდ დარბაზებში არიან მოთავსებულნი. ესენი განსაკეთრებით ლეკები არიან და ერთად ცხოვრობენ.

დავათვალიერე მუშათა სადგურები უსამართლობა იქმნება არ აღვნიშნო, რომ სისუფთავესა და ჰაერის უხვად მოძრაობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. თვით სადგურები თლილი ქვისა. ლაზათიანი შენობებია. თითეულ მუშას (საერთო დარბაზში) ხის ტახტი უდგას ლოგინ გადაუფარებელი, მეორეზედ მოშორებით. როცა ლეკებთან აველით, მათებური ზურნა და სიმღერის ხმა შემოგვესმა. ერთი ჯგუფი მორიგეთა მუშაობის შემდეგ ისვენებდა და მხიარულობას მისცემოდა. დარბაზები და სადგურები, როგორც ყოველისფერი შენობა, ელექტრონითაა განათებული. სადაუგურები ზღვის პირად არის გაშენებული და კაცს თვალ-წინ საამო სურათი ეფინება; ესკია, რომ კასპიის ზღვა უფრო საქმიანობის იერით არის მოსილი, ვიდრე მშვენება-სილამაზით.

მუშათა ეძლევათ მარილ-გამოხდილი წყალი (იქვეა მანქანა) და აქვთ საკუთარი სახაბაზო—ლეკებს ცალკე, ქრისტიანთ ცალკე. მუშები სამუშაოდ მორიგეობით მიდიან. საქვრეტელზედ მომუშავენი 6 საათის განმავლობაში მუშაობენ და მერე რვა საათს ისვენებენ; ნავთის ამომღებნი-კი 4 საათს მუშაობენ და 8 საათს ისვენებენ. ეს იმიტომ, რომ ნავთის ამოღებაზედ ზედი-ზედ შეუწყვეტლივ უნდა იდგე და საქვრეტელზედ-კი რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი საჭვრეთელს ჩაუშვებენ,—სვენებ-სვენებით უხდებათ მუშაობა.

რომ მუშათა მდგომარეობა ბ.ნ ზუბალაშვილის წარმოებაში შედარებით კარგ დონეზე არის დაყენებული, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ბაქოში მუშათა მოძრაობის დროს, მისი ქარხანების მუშები თურმე იძულებულნი იყვნენ სხვა მუშათა ძალდატანებით აეღოთ მუშაობაზედ ხელი და ისიც ცოტას ხნით. ამას გარდა ერთ საჩივარს ვერ ნახავთ სასამართლოებში ზუბალაშვილზედ მუშისაგან მიმართულს, მაშინ როდესაც სხვა ფირმათი შესახებ ესევე არ ითქმის.

ზუბალაშვილის ნავთის საქმეს ადგილობრივ ბიბი-ებათში ტეხნიკურად წარმოებს ერთი ჩეხელი ხელოსანი, რომელიც პასუხის მგებელია ყველანაირ უბედურ შემთხვევის გამო. საერთოდ-კი თვით სტეფანე კონსტანტინე ძის მუდმივ ხელმძღვანელობით, მის საქმეებს უვლის თომა გრიგოლას ძე გრიგოლაშვილი.

მთელი ეს წარმოება მეტის-მეტად დიადი რამ არის და ამიტომ მოკლე საგაზეთო წერილში (ისიც გაკვრით) ძნელია მისი დასურათება; ამას გარდა საჭიროა სპეციალური ცოდნა და დრო, რომ ყველაფერი შეიგნო და შეითვისო. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარამოება, რომ ზუბალაშვილი ერთად ერთი მესაკუთრეა ბიბი ეიბათში, გარდა ინგლისელთა კომპანიისა, რომელმაც თაიღიევისაგან შეისყიდა მიწა. დანარჩენი მესაკუთრენი იჯარით არიან სახელმწიფო მიწაზედ.

საერთო შთაბეჭდილება-კი ერთი რაღაც ზავთიანია ბუმბერაზი, თითქოს შენ წინ საარაკო რამ ხდებოდეს და არა შენსავით ჩვეულებრივნი მამაკვდავნი იყვნენ მისი ამმოძრავებელნი, განსაკუთრებით როცა შეხედავ ხუთ, მდევივით უშველებელ, ბეღელს ნავთისას, რომლებიც ათი ათასობით იტევენ ნავთს, ან ორთქლის ძალის შემმუშავებელ სადგურებს, რომელთა მანქანების ელვარება ცეცხლის მფრქვეველ მთებს მოგაგონებთ.

დიადია ეს საქმე, მეტის მეტად დიადი და მით უფრო

გული სიამით გევსება, რომ მისი დამწყობნი და განმგრძობნი ქართველნი არიან, შენი სისხლ-ხორცნი და სიამაყით შეგიძ-ლიან სთქვა. რომ ქართველთაც ჰყავთ საამდროვო კულტუ-რულ ძლევა მოსილების გამომხატველნი სავაჭრო სამრეწველო ასპარეზზედ.

ქართველ მუშათა სიმცირის გამო უნდა აიხსნას შემდეგი გარემოება და მიზეზები: წინეთ პატივცემულს გამგეს და სტე-ფანე კონსტანტინეს ძეს უმეტესად ქართველები ჰყოლია, მა-თი ჯილდოს მიცემა და პატივისცემაც საკმარისად ჰქონია და-დგენილი, მაგრამ ქართველნი ვერ იქცეოდნენ კარგად, სინი-დისიერად, მათ არაფრის გარჩევა არ ჰქონდათ, შინაურს და გარეულს ერთნაირის ოვალით უმზერდნენ, ახალის სიხარბის წყალობით მათს ნდობას საზღვარი არა ჰქონდა, უჯერო მი-ბაძვით თხოვნას, რაღაც მტრობას და მოუსვენარ უაზრობას ხშირად მისდევდნენ თურმე, ვნებდნენ კიდევაც, ე. ი. მტრო-ბდნენ ქართულად, ჩვენებურად და უკანასკნელ მათ ისე მო-აბეზრეს ყოველივე, რომ ბოლოს გახდნენ ღირსნი დათხოვ-ნის და საყოველთაოდ მოსვენების. აი ეს გახლავსთ უმთავ-რესი მიზეზები და ეს უჯერო და მუშათა უსაქციელო თვისე-ბა გახლავსთ და სხვა არაფერი. რაც ვართ და რაც გახლა-ვართ, ვგონებთ, ეს ჩვენ ქართველებმაც კარგად ვიცით. ეს რომ ასე გახლავსთ და ამის მიზეზები სხვას არაფერი ედება, თვინიერ ხელოსნების და მუშების, ამას გამოაჩენს ქვემო წე-რილი. მუშა და ხელოსანი მოვალეა, რომ თავის მტრისა და მოყვარეს გარჩევა იცოდეს, ყველას ერთის ადლით გაზომვა არ შეიძლება, კარგის ცუდში არევა მათგან დიდი უსამართ-ლობა იქნება, პიროვნების შელახვა, თითქმის უბედურებაც, ყოველი ქართველი მუშა ამის მოვალეა, რომ კარგისა და ავის ბრძოლის გარჩევა უნდა იცოდეს. სამწუხაროდ, დღეს ამის გაგება მათ ნათლად არა აქვსთ და ამიტომ ხშირად მტრობენ ისეთ შეძლებულ პირთაც, რომელთაც მათთვის სრული სიკე-თის მეტი სხვა არაფერი სურთ. სწორედ ასეთი სამაგალითო პირია სტეფანე კონსტანტინეს ძე.

ცხოვრებაზედ ღრმად შეხედვა და უძლურთ ცხოვრების აღებ-დაღება იქიდამაც კარგად სჩანს, რომ მას როგორათაც დიდი სიბრალული აქვს შეუძლო გლეხთა და მუშა ხელოსანთა ცხოვრების, ამათზედ არა ნაკლებ პატივს სცემს ქართველთ უძლურთ მდედრობით სქესს, ნამეტურ იმ ნაწილს, როემლსაც ერთი ლუკმა პურის გულისთვის ცხოვრება აქვს გამწარებრლი და განუწყვეტლივ ათას ნაირს მრისხანებას იტანს. ასეთს გაჭირვებულ ქალთა ცხოვრებასაც სტეფანე კონსტანტინის ძე დიდს ყურადღებას აპყრობს. მას მათი დიდი და მაღალი ადამიანური სიბრალული აქვს. მისი ასეთი შეხედულება სამაგალითოდ უნდა გახდეს სხვების წინაშე, რადგანაც ბევრს ალაგას, დღესაც საბრალო სქესის შესახებ არა აქვთ ნათელი აზრი, კარგი შეხედულება, ზოგნი მათ ისე უმზერენ, როგორც ტიკინს, ანუ თოჯას. დაჩაგრულთ და შეუძლო ადამიანთათვის სტეფანეს სახლის კარი ყოველთვის ღია გახლავთ, ასეთ უძლურთათვის მას არაფერი შურს. თუმცა ერთხელ შემდეგი შენიშვნაც წარმოსთქვა:

— მართალია ქალებში ბევრი მეტად უძლურია, ზოგი ობოლია, ზოგი ღატაკი, უპატრონო. ქალების გაჭირვება უფრო საგრძნობელია, ვინემც კაცების, ხოლო ისიც კი უნდა მოგახსენოთ, რომ მათ შორის არიან ისეთი ქალებიც, რომელნიც თაღლითობენ, წინდის ქსოვა რა არის, ისიც კი არ იციან და ან არ კადრულობენ, ასეთი პირნი არც დიდს გაჭივრებაში არიან ჩავარდნილნი, მაგრამ თხოვნის ოსტატობა კი გაკვეთილი აქვთ და ხშირად აწუხებენ კაცს. ნამდვილი შეუძლო და გაჭირვებული კი ამას ვერ ახერგებს.

უნდა ითქვას, რომ ეს შენიშვნა მართალი გახლავთ, მისი უარყოფა არ შეიძლება, რადგანაც მართლაცა და ბევრს ალაგას ნამდვილ გაჭირვებულ ქალთაგან მწარე სიღატაკის ცრემლი იღვრება, იგინი თითქმის აუწერელს სიღატაკეს ითმენენ, ცარიელ მშრალა პურზედ კვდებიან და ხშირად ესეც არა აქვთ, ასეთი საცოდავები მით უფრო არიან შესაბრალისნი, რადგანაც მათ დახმარების თხოვნის შნოც არა აქვთ, ესე-

ნი თითქმის გაჭირვების და შიმშილის მსხვერპლად ხდებიან და ამავ დროს სარგებლობენ ისეთი ქალები, რომელთაც უფრო მეტი გამოცდილება და ოსტატობა აქვთ. ცხადი საქმეა, რომ ასეთებს ქონებრივი ძალაც მეტი ექნებათ. ამის მაგალითები ჩვენ ბევრი გვინახავს და ბევრს ალაგას ასეთ პირთა მეოხებით ბოროტებაც დანერგილა.

მრავალ ნაირი დაკვირვება სტეფანესი იქიდამაც კარგად სჩანს, რომ როგორც „ევერიაში“ სწერდა მღვდელი მიხეილ ვარძელაშვილი, ახალქალაქის მაზრის სოფ. ხიზაბავრის ქართველ კათოლიკეთა ქალთა სკოლის გახსნისთვის ერთ ხნობით 1000 მან. გაუგზავნია. ამ სოფლის ქართველ ქალთა სკოლის დახმარება სწორედ მალამოდ ჩაითვლება, რადგანაც ამ სოფელში ქართველ ქალებს ტანთსაცმელი დღემდი ოსმალურად აცვიათ, თათრულად. რაკი ესენი აქ სკოლას ნახავენ, მერე კი იმედია, რომ ეს მათში მოისპობა და ქართული ტანთსაცმელი აიდგავს ფეხს. უნდა ითქვას, რომ ასეთი დახმარება სხვა საქმეებისთვისაც მრავლად მიუწვდია.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სტეფანეს ძრიელ ხშირად და ძრიელ მრავლად აღმოუჩენია დახმარება რუსისთვის, სომხის, თათრის და ლეკისთვის, თუ დიდისთვის და თუ პატარასთვის, თუ ქალისთვის და თუ კაცისთვის. ამას რიცხვი არა აქვს, სიტყვა და საქმე რომ იქმნეს, ამას ბევრი რუსი შეამოწმებს, სომეხი, თათარი და ლეკი. ვინც კი მისულა მასთან და მის კეთილი საქმე უნახავს. ამის მხრით სტეფანეს ვინმე რამე განკერძოებას ვერ შეამჩნევს. მას დიდი სიყვარული აქვს როგორც თავის სამშობლოსი და ქართველი ერის, ისევე პატივს სცემს რუსს, სომეხს, თათარს და ლეკს, როგორც უდიდეს მოქალაქეს, მას ყველას სიყვარული და ერთობა დიდის გულით და სულით სწყურიან.

ხშირად უთქვამს, რომ: „სასტრელია, რომ ეველა კეთილ შრის სიყვარული დაარსდეს განურჩევლად ტომის და სარწმუნოებისა. ასეთი დიდი ადამიანური სიყვარულის პატივისმცემლები იყვნენ ჩემი მშობლები და ამიტომ მეც ამას ვეკუთვნი. ჩვენ ეველა

ტომის სიყვარული გვქონია და გვექმნება კიდეცა. ამას მოითხოვს ქრისტიანობაც, ადამიანობაც და სწავლა-განათლებაც. ჩვენ მტრობას ვერავის მოუწონებთ და ეს არც მოსაწონია“.

სტეფანეს დიდს ნატვრას ეს შეადგენს, რომ კაცთა შორის საერთო სიყვარული და პატივისცემა დაარსდეს, ამიტომ და ამ დედა-ჰაზრების წყალობით იგი რუსს, სომეხს, თათარს და ლეკსაც ისე უმზერის, როგორც თავის თანამემამულეთ. ესეც მეტად საყურადღებოა და მისაბაძი მრავალთაგან, რადგანაც ბევრს ასეთი შეხედულების სულ არაფერი უღვივის გულში და იგი მარტოდ თავის თავს, გვარს და ტომს ემსახურება.

ასეთი პირებით სავსეა ყველგან და ამაზედ ჩვენ ზემოთაც ვისაუბრეთ. ამის სრული ჭეშმარიტი მოწამეა, რომ ასეთის სანაქებო მცნების არა მარტო სტეფანეა, არამედ ყველა მისი ძმებიც, მათ ყველამ ერთად 15,000 მან. გამოუგზავნეს ქართველ თავად-აზნაურობას რუსეთის და იაპონიის ომის ბრძოლის ველზედ დაჭრილთათვის საავადმყოფოს გასაკეთებლათ. 1904 წ. სააღდგომოთ თბილისის ქალაქის გამგეობას 2000 მან. გადასცეს აღდგომა დღეს ღარიბთათვის დასარიგებლად. ბევრი კიდევ სხვა ასეთნი.

როგორც განათლებული კაცი, სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი დიდს პატივს სცემს კაცთა ყოველნაირად განათლებას და წარმატებას. არ მოიძებნება არც ერთი რიგი და დარგი განვითარებისა, რომ იგი პატივს არ სცემდეს; ასეთს ღირსებას და ცოდნას არც მისი ძმები გახლავან მოკლებულნი. ყველა ამას ცხადათ ასაბუთებს ის გარემოება, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძემ და მისმა ძმებმა ტფილისის მუსიკალურ სკოლას 10,000 მან. შესწირეს. ჩვენს დროში ასეთი შეწირულება ისეთის სპეციალურის სასწავლებლისათვის ქართველის კაცისაგანაც მეტად დიდი საქმეა, მეტად იშვიათი მხარია ჩვენში. ბევრს იქნება ამის გაგება და წარმოდგენაც არ ექნეს, იქნება სთქვან: რა დროს მუსიკალური სკალა არისო, ხალხის ცხოვრება სდუღს, სჩქეფს, ხალხი მშიერი იხოცება და

აბა ამ დროს ასეთ საქმეს რა მნიშვნელობა უნდა მიეცესო. ეს შეიძლება იოქვას, მაგრამ იგი იქნება ცალმხროვანი შენიშვნა. ყოველ დარგს აქვს თავისი მნიშვნელობა, ყოველ ნაწილს და მხარეს კაცობრიობის ცხოვრებისას საკმარისი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ ისტორიის ასპარეზზე, ასევე აქვს მნიშვნელობა მუსიკას. ამის მნიშვნელობას მისწვდება მხოლოდ ღრმად განათლებული კაცი, წიგნებ ნაკითხი. ეს რომ ასე არ ყოფილიყოს: უამისოდ იგინი იმოდენა ფულსაც არ შესწირავდნენ ასეთ საქმეს. ესეც სახელია ქართველთ ქვეყანაში მცხოვრებ უცხო ტოათა წინაშე.

ჩვენ, ქართველთ შეძლებულ პირთ ცხოვრების არსებობა და მის მიმდინარეობა საქებია უფრო მაშინ, როცა შეძლების მექონ პირთა რიცხვი განათლებულ პირთაგან შესდგება. საქმე ის არის, თორემ ჩვენს დროში, ხშირად სიმდიდრეს გაუნათლებელ პირის ხელში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ამის დასამტკიცებელს მაგალითს აქ მრავლად მოვიყვანდი, მაგრამ ამ მარტივ მხარეზედ რა საჭიროა ლაპარაკი, როცა ეს უამისოდაც ყველა თვალ-ხილულმაც უნდა იცოდეს. ბევრს აქვნდა დიდი შეძლება, მაგრამ რა იქმნა, მან თავის გამოუცდელობით და გაუნათლებლობით უკანასკნელ ცუდს ხიფათს წააწყდა, მთელი შეძლება ან ხელიდან წაუვიდა, ან გაფლანგა, თუ შესწირა ვისმეს, ისიც ისეთ საქმეს, ან ისეთ კერძო პირს, რომელსაც ჩვენი ცხოვრების ასპარეზზედ ვერავითარი ადამიანური მნიშვნელობა ვერ მიენიჭება, იგი უმეცარის კაცის უმეცრული შეწირვის ნაყოფია და უმეცრების გარშემოც ტრიალებს.

იყო კიდევ ისეთი მაგალითები, რომ შეძლებულ ქართველთ თავიანთ სიკვდილის შემდეგ რამდენიმე ფული განათლების საქმეს შესწირეს, მაგრამ მათაც, რადგანაც არ აქვნდათ შესაფერი განვითარება და ცოდნა, ამიტომ თვით კანონიერად ანდერძის წერილიც კი ვერ შეადგინეს და ამიტომ უკანასკნელ მათი ანდერძის წერილიც გაუქმდა და დანატოვარს საზთგადო ხასიათიც წაერთვა. ერთმა მდიდარმა ქართველმა ვაჭარმა რამდენიმე ათი ათასი მანეთი უცხოთ სასწავლებელს დაუტოვა

და 6000 კიდევ სომხებს. გარდა ამისა იყვნენ ისეთი მდიდრებიც, რომელთაც მთელი ცხოვრება მხოლოდ თავიანთ ბრაზის წყალობით შესწირეს ისეთ საქმეს, რაც ქართველთ ყელის გამოჭრათ უნდათ ჩაითვალოს. ესეც რასაკვირველია კვალად და კვალად ჩვენი გამოუცდელობის და უმეცრების ბრალია. გულმოსულობა და ბრაზი არ შეჰფერის დაქვეითებულ ქვეყნის და ერის შვილს. ამაზედ ქართველებს დიდი დაფიქრება გვინდა; დროა, რომ გონს მოვიდეთ, დროა თვალი გავახილოთ და ჩვენის სამშობლო ქვეყნის საქმეებს ჭეშმარიტი ქომაგობა გაუწიოთ, დროა უკვე. ამ სამსახურს აუცილებლად ითხოვს ჩვენთ მდაბიოთა განკაცების საქმე, მათი ფეხზედ დაყენების და სხვა. ნუ თუ ჩვენს წასახალისებლად სტეფანე კონსტანტინეს ძის საბაგალითო მხარეები არ კმარა, ნუ თუ ამ უკვდავ პირის მოქმედებამ არ უნდა გაგვაფრთხილოს, დროა უკვე, დროა ბატონებო!..

სტეფანე და მისი ძმები მძინარ ქართველთაგან ერთობ შორსა დგანან. იგინი მტკიცედ აჩენენ იმ ნათელ აზრს, რომ მათ კაცობრიობის აგებულებაში ყველა მხარე დს დარგი უალრესად სწამთ, ყველა საგნის აღორძნებას ნატვრის თვალით შეჰყურებენ. ამ ყურების დროს, მათ არც გულის წმინდა აუმღვრეველ გზას ემსახურებიან და ხალხის ცხოვრებაში არც ერთს საჭირო მხარეს არ ივიწყებენ. იგინი ყველა საჭირო მხარეს ერთის თვალით და ზომით უმზერენ, ყველას საჭირება მათ თავ-თავის კვალად სწამთ. ამიტომაც მათ შესწირეს აუარებელი ფული ქართველ კათოლიკეთ ეკკლესიების აღსაშენებლად. ბათუმში ამათის ფულით გაკეთდა კათოლიკეთ ეკკლესია, მართლმადიდებელთ მიეცა დახმარება, თფილისში ორი ეკკლესია მთლათ ამითი ფულებით განახლდა, შესწირეს სკოლებს, ღარიბ მოსწავლეთა სასწავლებლათ. ღარიბთ თავშესაფარ, სახლის აღსაშენებლათ, ტფილისში სახალხო სახლის და თეატრის გასაკეთებლათ, სამკითხველოების სასარგებლოთ, მუქთი სასადილოს გასაკეთებლათ, გაჭირვებულ გლეხთა სასარგებლოთ, გაჭირვებულ მუშათა სასარგებლოთ, გაჭირვებულ

ჭალთა სასარგებლოთ, ტფილისის ღარიბ-ღატაკთა სასარგებლოთ, სხვა და სხვა საქველმოქმედო წრეთა სასარგებლოთ, სნეულთა სასარგებლოთ, უსიხათლოთა, სახალხო წიგნების გამოსაცემად, ქართულ დრო-გამოცემათა სასარგებლოთ, ისტორიულის და ეთნოგრაფიულის წიგნების გამოსაცემად და მრავალიც სხვანი ენით მოუთვლელნი.

აქ მოთვლილის საქმეთა და დარგთა შეწირულება კარგად აჩენს, რომ სტეფანე კონსტანტინეს ძეს და მის ძმებს, ჯეროვანი, საკმარისი განათლება უნდა ჰქონდეთ მიღებული. უამისოთ მათი კეთილ მოქმედების დედა აზრები ერთის საქმის და საგნის გარეშემო შემოჯგუფდებოდა, ერთი წერტილის გარშემო იტრიალებდა, მაგრამ არა, მათი პროგრამის მუხლები ირგვლივ ტრიალებენ და ერის ცხოვრებას და მის აგებულობას მრავალნაირის მხრით ევლინებიან მკურნალათ, მალამოთ, ნათელ სანთლათ. ამათ კარგად იციან თავიანთი ადამიანური მოვალეობა, სინდისიერი მიზანი და მიტომაც არის, რომ განათლებული მამულიშვილები თავიანთ სამშობლო ქვეყნის და ერის საქმეებსაც განათლებული კაცების ადამიანურის გეგმით ემსახურებიან.

კაცად-კაცურის და თან მეტად მისაბაძის სამაგალითოს ცხოვრების გეგმით სტეფანე და მისი ძმების ოჯახი ნათელის წესებით ბრწყინავს. მათს ოჯახს გარეგან თუ შინაგან ჰმოსია ისეთი ცხოვრების წესები, ისეთი სანუკარი მხარეები, რაც ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენ შეძლებულთ პირთა შორის ასეთი ღირსება ერთობ იშვიათია, თითქმის სანთლით საძებარი. ყოველივე მხარე ჩვენის დიადის ცხოვრების ვითარებისა მათში მოსპობილია, ჩამქრალი, ამ სიმქრალეს ყველა გამცნებული ქართველი კარგად გრძნობს, ყოველმა თვალ-ხილულმა ბრძენმა კარგად იცის, რომ ქართველი კაცის ოჯახის ბევრი რამ ნათლის იდეებით სავსე მხარეები სრულიად დამხობილია, თითქმის საყოველთად მოსპობილი. ამ სამწუხარო გარემოებას დიდის მწუხარებით უმზერდნენ ყველა ჩვენი ძველი ბრძენი კაცები. თვით პოეტი ვახტანგ ორბელიანი გოდებით

და ცხარეს ცრემლების ღვრით მოიგონებდა ამ საგოდებელ მხარეს. მის გათახსირების და დაღუპვის მიზეზებს პირდაპირ ჩვენს წარჩინებულ გვარიშვილებს აწერდა.

ასევე მწუხარებით უმზერენ მგოსანი აკაკი, ილია ჭავჭავაძე და მრავალიც სხვა წარჩინებული ბრძენი მწერალნი ქართველნი. ასე ნათლად დახატა ქართველ საზოგადოების უგვანობა ანტ. ფურცელაძემ ერთ წერილში, რომელიც „ევერიაში" დაისტამბა. ეს პირნი სწორეთ სრულის სიამოვნებით დასტკბებიან ზუბალაშვილის ოჯახის სამაგალითო წესებით. მათს ოჯახში კაცი ნახავს სულის მშვიდობას და გამამხნევებელ ძალას, დიდს სასოებას, მათი ოჯახი არის საძირკველი სუფთა მშვიდობისა და კაცთ-მოყვარეობისა, ყოველი მხარე, ყოველი ნაწილი მათის ოჯახისა აღშენებულია ზომიერათ, თავის შესაფერად, ვერც ერთს მხარეს, ვერც ერთს საგანს მათს ოჯახში კაცი უადგილოთ და უშესაფეროდ ვერ ნახავს. ყოველივეს თავის ალაგას ნახავთ, თავის დროს, თვის შესაფერად, ვერ ნახავთ ვერც ერთს დარგს უადგილოდ, უმნიშვნელოდ. მათში ერთი მცირე დრო, მცირე წუთიც კი არ დაიკარგება, არაფერი უბრალოდ არ გაფუჭდება, ყოველივე მოსახმარი ხმარდება თავ-თავის დროს, თავის შესაფერად, ვერ ნახავთ, რომ ერთი მცირე დრო უბრალოდ დაიკარგოს, გაფუჭდეს, ან რასმეს მოხმარდეს. ამის მხრივ, როგორც სტეფანე, ისევე მისი ძმები საქებნი არიან და საზოგადოთ მისაბაძნი მრავალთაგან.

ვამბობთ საქები და მისაბმძნი არიან მით უფრო, რადგანაც ჩვენს დროში, რამდენს ალაგას სცხოვრობდნენ დიდი შეძლების პატრონები, მათი შეძლება თუმცა დიდი აყო, მაგრამ იმოდნათ კი მაინც არა, როგორც ზუბალაშვილებისა. ამიტომ მათ ცხოვრებაში უფრო მეტი მხნეობა და სიამპარტავნე უნდა გამოეჩინათ, მათ უფრო მეტი დუმილი ჰმართებდათ, ვიდრე ზუბალაშვილებს, მაგრამ არა ჩვენდა სამწუხაროდ, ამ პირებმა თავიანთ ოჯახში სულ ვერ აღმოაჩინეს შესაფერი სავალდებულო ცხოვრების რიგიანი გაგება.

როგორც მოგახსენეთ, სტეფანე და მისი ძმები ჩვენი ცხო-

ვრების ასპარეზზე გამცნებულ ცხოვრების გეგმათ უნდა ჩაითვალოს, მათი ოჯახის და ცხოვრების სამაგალითო თვისება სხვათათვის მისაბაძ მაგალითად უნდა გახდეს. უამისოდ კი ვერც ერთი მათგანი ვერ შეიკავებს ცხოვრებას, მათი ცხოვრება უმნიშვნელო იქნება, თუ მათ თან არ ექნებათ დიდი გამოცდილება, დროის შესაფერად ვანათლება და კაცთა შორის დიდი სიყვარული და სათნოება. ვინც ჩვენს თქმულებას არ დაერწმუნება, ვთხოვ მათ, რომ ზედამხედველობა იქონიონ და მაშინ ყოველივე ნათლად გამოჩნდება, ყოველივე დამტკიცდება, აი ასეთ პირთა სარკეთ და სკოლათაც სტეფანეს და მის ძმების ოჯახი უნდა გახდეს, ეს მათთვის საყურადღებოთ უნდა გადიქცეს, ამათგან უნდა ისწავლონ ბევრი რამ საყურადღებო თვისებინი. ამ სანუკარ მხარეების შესწავლით იგინი მკაცრად აღასრულებენ პოეტის შემდეგ სიტყვებს:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში, და სოფელს კი არა რა არგოს".

ეს მცნება თუ აღორძინდა მათში, მაშინ კი შეიძლება, რომ იგინი ასცდენ მოპავალის დაღუპვას, მათი ოჯახი ფეხზედ დადგეს ზუბალაშვილების მსგავსად. უნდა ისიც კი ვსთქვათ, რომ ტფილისში, ზუბალაშვილის ოჯახებს გარდა თითოოროლა სხვათა ოჯახებიც არის, რომელნიც ბრწყინვენ ადამიანურის ცხოვრების სამკაულებით. ასეთ ოჯახებთა ვითარება მწერლობაშიც კი ანუსხულა. მაგალითს გვიჩვენებს აკაკის სიტყვაც. ასეთ ოჯახთა ნაყოფი ყველასთვის ცხადია, მიბაძვა ამათი იქმნება მალამო ჩვენის ცხოვრებისა, იგი გამოიღებს შესაფერს ნაყოფს, მის მეოხებით შეიძლება, რომ სამოქალაქო მერმისის ცხოვრებისთვის მთელი რიგიანი ახალი თაობა აღიზარდოს, უამისოდ კი ყოველივე ამაო იქნება. ზუბალაშვილების და სხვათა მისთანა ოჯახების მარტივი მაგალითები ყველასთვის ადვილ დასანახი უნდა იყოს და მისახვედრი, რომ რაც კარგია და ძვირფასი, ის ყველასთვის უნდა არსებობდეს, ყველა უნდა ჰბაძავდეს მას. ჩვენს დროში, ასეთს

ოჯახების არსებობას დიდი ალმზრდელობითი მხარე უნდა მიენიჭოს.

სტეფანეს და მის ძმების ოჯახში ბევრი რამ საყურადღებო მხარენი სუფევენ, ბევრი მარგალიტი საქმენი. ოდესმე თუ ვრცელი საქართველოს ისტორია დაიწერა, თუ აინუსხა ქართველ ერის ყოველი ნაბიჯი განვითარების და გამცნებისა, იქ, ცხადი საქმეა, რომ ზუბალაშვილების სახლიც შესაფერს ადგილს დაიკავებს. ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც სტეფანე კონსტანტინეს ძის სამაგალითო სამსახურს გაზეთ „ივერიამ“ მოწინავე წერილი უძღვნა. (60 № 1903 წ.). ამათივე ღირსება მთელმა გორის მაზრის თავად-აზნანრებმა საქვეყნოთ აღიარეს; სტეფანეს, იაკობის და პეტრეს მამულისშვილობას მადლიანი, ანუ შესაფერი ქებაც მიუძღვნეს. ჩყენ კარგათ ვიცით, რომ სტეფანე და მის ძმებისთვის ქება, დიდება და ცაში ფრენა დიდ რამ საჭიროებას არ შეადგენს, იგინი ამის მნატვრელნი არ არიან.

ეს რომ ჭეშმარიტება არს, ამას ცხადათ ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ მრავალ საქველ-მოქმედო საქმეთა გარდახდის დროს, მათ ერთი სიტყვაც არ უთქვამს არსად საქვეყნოდ, არსად არაფერი გამოუცხადებიათ. მათ ნათლად სწამებიათ, რომ კეთილი საქმე თავის სანთელს-საკმელს ანუ გზას არ დაჭკარგავს, იგი ყოველთვის გამოსცემს თავის სხივებს, არსად არაფერი დაიკარგება. აღიარებულია ძველთა და ახალ მსწავლულ ფილოსოფებთაგან, რომ თუ კი სადმე საქვეყნოთ კეთილი რამ ითესება, იგი დაუკარგველია პატრონისთვისა. ბევრნი გაკვირვებულნიც არიან სტეფანეს ქველ-მოქმედებათა საიდუმლოებით და მიტომ უფრო აქებენ მას. ესეც მაგალითია სხვათა წინაშე.

ხოლო ისიც კი უნდა ითქვას, რომ ასეთ პირთა ქველ-მოქმედებათა ცნობების განცხადება საჭიროა ყველგან და ნამეტურ ჩვენში, ქართველებში, სადაც არა ვართ ქველ-მოქმედებას მიჩვეულნი, ჩვენში არც ქველ-მოქმედება არის, არც საზოგადოებრივ სულის აღდგენა, არც სიმართლის მძლავრად

ლაღადი, არც ჩაგრულთ სიბრალული და მათი შველა, ნაცვლად მის, აქ საქმე ისე გათახსირებულა, რაის გამო ქართველი ქართველს სჭამს, ჰმტრობს, ჰლუპავს, მრავალნაირ ოინს და ხიფათს უშვრება. იქნება სტეფანეს და მის ძმებისთვის მათს კეთილ სამაგალითო საქმეთ განცხადებას მნიშვნელობა არ ექმნეს, შეიძლება, მაგრამ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ამათ საქმეთა განცხადებამ სხვებზედ იქონიოს გავლენა, მნიშვნელობა. სხვებს შერცხვეთ ამ გარემოების მეოხებით და იგინიც სტეფანეს და მის ძმების მსგავსად მოიქცნენ, უკანასკნელ მათაც გაიმეტონ რამე და ჩვენს წყლულებსაც უშველონ. ვინ იცის, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ამას მხოლოდ ცდა უნდა და შეერთებული შრომა.

აბა, ბატონებო, ჩვენ, ქართველნი ისე ვართ დაკნინებულნი, რომ ასეთ მხარეებითაც კი ვფიქრობთ თვალის გახილებას, წყალ-წაღებულის ცხოვრებიდამ თავის დაღწევას!.. მეორე, ისიც კი უნდა აინიშნოს თამამად, რომ ზუბალაშვილების ქველ-მოქმედებათა საქმეებს რამდენათაც ქართველთ წინაშე აქვს საგვარ-ტომო მნიშვნელობა, იმაზედ მეტი ზომის ფასი მიეცემა ბევრს კერძო ქართველთ წინაშეც. შესმენილ შეუძლო ქართველი კაცის გული დასევდიანებულია, ყველა მწუხარებით ამბობს, რომ ქართველ კაცს არ უყვარს საზოგადო საქმეთა პატივის ცემა. მან არ იცის შეწირვა, იგი ჭამა-სმის გარეშე სხვა არაფერია, იგი საგმობ არსებობას წარმოადგენს, საძრახისს, არა მარტო დღეს, არამედ იგინი შემდეგაც დაიგმობიან. ხოლო, სტეფანეს და მის ძმების სამაგალითო საქმიანობის ცნობებით კი ასეთი გულგატეხილი პირი სასოებაზედ მოვა, წელში გაიშლება, შეეცვლება ბურუსიანი შეხედულობა, ბევრს გაექარვება ქართველი კაცის უხეირობის ნაღველი, იმედ გადაწყვეტილი. სტეფანე ზუბალაშვილის მეოხებით ძალით აღფრთოვანდება, სულიერად ამაღლდება, მომავლის იმედი თვალთ წინ დაეხატება და იტყვის, რომ პატივი ბედსა და გარემოებას, რომ ამ ჩვენს გათახსირებულ დროშიაც კი ქართველთ შორის აღმოჩნდა

ისეთი მადლიანი მამულისშვილი, რომელიც ქართველი ერ-
სებულ უხეირობას წინააღმდეგათ მოევლინა, მან დალეწა
ძველებური უხეირო წესების პატივისცემა, რწმენა და მით
აუწყა მრავალთ, რომ ქართველთ არ უნდა ექმნეთ გული
გატეხილი, იგინი თუ დღეს კეთილ საქმეს არას სწირვენ, ეს
კიდევ არ ნიშნავს, რომ იგინი ამით ბორიტები იყვნენ, გვე-
ლნი და უმადლონი. არა, ეს ასე არ არის, იგინი ამას მი-
ჩვეულნი არ არიან. მათ წახალისება უნდა, მაგალითი, რაკი
ისინი ასეთ საქმეთა რამეს ნახავენ, მერე მას თითონაც მიჰ-
ბაძვენ. დღეს სძინავთ მათ, გაღვიძება კი მოელით.

აი ესეც მაგალითი. ამიტომ სტეფანეს და მის ძმებს ამ
მხრითაც კი უნდა მივანიჭოთ სამაგალითო მხარე, ჩვენგან
სამადლობელი. ჩვენ ვსახავთ მათ ვითარცა კაცობრივი მოვა-
ლეობის სასტიკ აღმასრულებლად, უზადო, უმწიკვლო ადა-
მიანებად. ჩვენ სრული მოიმედენი ვართ. რომ ამათი გულ
მოწყალე თვისება ქართველი ერის ცხოვრებაში ძირითად
ცვლილებას მოახდენს, იგი აღბეჭდავს თვის დიად მნიშვნე-
ლობის ნავალს.

აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ შემდეგი: ქართველ
კათოლიკეებმა XIX საუკუნის ქართულ მწერლობას და ერს
დიდი სიკეთე მოუტანეს, დიდი ვალი დასდეს. მათებური სამაგა-
ლითო თვისებანი ქართველებში იშვიათი იყო, ეს დღესაც
ისევეა სამწუხაროდ. კათოლიკეთ აღმატებულ თვისების და-
სამტკიცებლათ კი დავასახელებთ თვით სტეფანეს. ამ პირს
ისე სწამს და ენატრება ქართველი ერის სიკეთე და ბედნიე-
რება, როგორც თავიანთის ოჯახის, თავიანთის თავის. ამის
ჭეშმარიტება მათ ცხადათ ემჩნევათ. იგი, როგორც ეტრფის
და აფასებს საზოგადოებრივ ხასიათის მექონ ძალას, ისევე ეპ-
ყრობა ყოველ კერძო პირს, პიროვნებას, ყველას თავის შე-
საფერად.

ბორჯომში მას მუშები ერთი ათად დაეჯილდოვებინა.
მუშებს სადილი გაემართათ და მე სწორეთ მაშინ შევესწარ,
როცა მუშები სტეფანეს და მის ძმების სადღეგრძელოს ხმა-

მაღლა მოიხსენებდნენ. ძნელად, რომ სტეფანესაგან სადმე ვინმე შელახულიყოს სიტყვით, საქმით, გინდ სულ უბრალო რამით; იგი სათნოება არის არა მარტო თვისი ღირსების და იმ უტყუარის ჭეშმარიტების, რომელსაც ეკუთვნიან თვით მისი წინაპარნიც. სტეფანე ჩვენს მიბინდულ ცხოვრებაში ქველ-მოქმედების ლამპარია, იგი მაგალითია დიდთა საქმეთა, მის მოქმედებას მრავალნი შემოსვენ მემდეგის სატყვებით:

„ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
სადაც გალობენ ანგელოზნი დვთის დიდებასა“...
—სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრთ განაწმენდილ,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...
ვინც ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მისდევს, ჭსტნობს რა მის შუქს ფუჭს წარმავალსა.
ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამტნო სიმართლე
და ძმას დატემულს მისცა ხელი და აღადგინა!..
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა
დვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი„.

რა არის ეს სოფელი თუ არ საქმე კეთილი?—ყოველივე ამაოა, ყოველივე კვდება, გარდა კეთილის, სიკეთის, სიმშვიდის, ძმათა სიყვარულის.. დრო გადის, კაცი ბერდება, მერე კვდება, შემდეგში იგი ისე ისპობა, რომ ვითამც არც კი დაბადებულიყოს... არ კვდება მხოლოთ მის კეთილ საქმეთ ხსენება, ეს შთება საუკუნოდ. მას ბევრი პატივისმცემი და მიმბაძავნი უჩნდებიან, იგინი ამას მტკიცედ ინერგვენ გულში, ამ დანერგვის საშუალებით იგინი შედიან შეუძლო ძმათა მდგომარეობაში, მათს გულსა და სულში, მის საშუალებით კაცის გამათახსირებელ ძალასაც ჯეროვან ყურადღებას აპყრობენ, უკანასკნელ, მათ მკურნალებათ ხდებიან...

რა უნდა წაიღოს კაცმა, რა უნდა დაშთეს აქ მას თუ არა საქმე კეთილი, წმინდა გული, დაცემულის შველა, აღდგენა და გამაგრება, რომლის მსგავსი საქმენიც სტეფანეს მრავლად უკეთებია... ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ სტე-

ფანე კონსტანტინეს ძე თავის მამულიშვილურს მოვალეობას ყოველთვის პატივის ცემით აღასრულებს. ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც მისი გული სწორედ ამ წმიდა მცნების მარგალიტებით ნარნარებს, ამით არის სავსე, ეს მის უზესთაეს სალაროს შეადგენს, სუფთა საუნჯეს... ასეთი საშვილიშვილო უკვდავი ძეგლი, უკვდავი ჯილდოც ჩვენს მიბინდულს საზოგადოებაში მეტად ი'მვიათი საქმეა, ერთის სიცყვით, სტეფანეს ეს მაგალითი ქართველების ცხოვრებაში დიდ მანათობელ ძალად უნდა ჩაითვალოს, ღამის გუშაგ ვარსკვლავად ჩვენის დაცემულის და გათახსირებულის ქართველის კაცის ცხოვრების ასპარეზზედ. განსაკუთრებით საყურადღებო და სასიხარულოა ის გარემოებაც, რომ წმინდის მამულის შვილობით სტეფანეს მისი ძმები ლევან, პეტრე და იაკობიც მხარ და მხარ მისდევენ.

ჩვენ, ჩვენის მოსაზრებით ყოველ კაცის შრომას და ღირსებას დიდათ ვაფასებთ. ამის მოვალეა ყველა. ისტორია არის ერის საუნჯე, კარი იმ სალაროსი, სადაც ყოველს ცნობას ავს, თუ კარგს ალაგი ეძლევა და საყოველთაოდ, ანუ საუკუნოდ ინუსხება. ისტორია არის კარი სიბრძნისა, ხსოვნისა და ადამიანის გონების გაფხიზლების და წაქეზებისა. ჩვენ მოვალენი ვართ, რომ ჩვენის ქვეყნის ძეთა შორის რაც კი სასარგებლო ვნახოთ, ყველა იგი უნდა ავნუსხოთ და შთამომავლობას გარდავსცეთ. კეთილის მოღვაწეს ქართველის არც ერთი ნაბიჯი არ უნდა დავტოვოთ უყურადღებოთ. იგი ისტორიას უნდა გარდავცეთ. ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენ, ქართველებმა, არსად არაფერი მივსცეთ დავიწყებას, ყოველი ქართველი საზოგადო საქმეთა ცნობანი, ვინც უნდა იყოს იგი: მწერალი, მგოსანი, მოღვაწე, მრეწველი და ვაჭარი, უნდა აღვნიშნოთ. სტეფანე კონსტანტინეს ძის ადამიანური მოქმედება არის ასეთ საქმეთა სამკაული, კაცად კაცური ღირსება და ჩვენც ჩვენი დედა აზრების თანახმად ვასრულებთ მხვედრ ვალს.

წარჩინებულ სამაგალითო კაცთა მოქმედების ცნობები

არსად და არას დროს არ უნდა იქმნეს დავიწყებული და უყურადღებოთ დატოვებული. ჩვენს დროში ადვილი საქმე არ არის, რომ კაცმა რამე გაიმეტოს და სხვებს შესწიროს, ეს ხომ იშვიათია, და იშვიათია ის სამაგალითო საქმეც, რომ შეწირვა და იმოდენი ფულის შეწირვა, რამდენსაც სტეფანე, ლევანი, პეტრე და იაკობი სწირავენ, ეს ხომ მეტად იშვიათი საქმეა, თითქმის პირველი მაგალითია ჩვენში. ამიტომ სტეფანე კონსტანტინეს ძე ლელანი, პეტრე და იაკობი საქებნი არიან ჩვენგან და თან მეტად მისაბაძნი და სამაგალითონი. ადრე ჩვენში ასეთ კაცთა რიცხვი სულ არ არსებობდა, მიტომ არც ფასი იცოდნენ მათი, თუმცა აქა-იქ რომ გაჩენილიყვნენ, მაინც მათი მნიშვნელობა არავისთვის იქნებოდა საჭირო და ცნობილი, რადგანაც ასეთ კაცთა კეთილ საქმეთა აღწერის საჭიროება არავის ექნებოდა წარმოდგენილი. ეხლა, როცა ჩვენს სამშობლოში უკვე გაჩდნენ ასეთი პირები, ამიტომ ჩვენც რასაკვირველია მოვალენი ვართ, რომ მათი ცნობებიც ავნუსხოთ. ღირსეულ ადამიანებს მივუძღვნათ შესაფერი ჯილდო და პატივისცემა.

კვალად, უნდა ითქვას, რომ ყოველ კეთილ საშვილიშვილო საქმეს თავის შესაფერი გზა და კვალი არ მოაკლდება, თავისი ფასი და მადლი ყოველთვის წინ ექნება გამძღვარებული. ასეთი ჯილდო სტეფანეს, მის ძმებს ერთი ათად აქვთ მოპოვებული. მათი ჯილდოს მადლი და სხვათა მადლობა მაღლა სდგას თვით მათგან ბოძებულს შეწირულებაზედ, მაგალითებრ, მათგან შეწირული ფული სათავად-აზნაურო სკოლის შენობის სასარგებლოდ არის მეტად დიდი, უკვდავი საქმე, დიდი მაგალითი. ამ სკოლის ფეხზედ დაყენება და წარმატება არს სახსარი თბილისის ქართველთ შეუძლო მუშათ და ხელოსანთა შვილების განვითარების, ფეხზედ დადგომისაც, რადგანაც თუმცა ეს სკოლა თავად-აზნაურთა საკუთრებათ ითვლება, მაგრამ იქ ნახევრამდე მოწაფეების ქართველთ ისეთ შეუძლო მუშათ და ხელოსანთ შვილებიც სწავლობენ, რომელნიც თავიანთ შეუძლებლობით ასეთ სკოლაში სხვაგან ვერა ლონის ძიებით ვერ ბიაღწევენ.

ამ საქმის და მის პატივისცემის წყალობით ზუბალაშვილებმა დიდი ძეგლი დაიდგეს, ამის წყალობით ქართველებმა მათ ალაგას თითქმის უკვდავების საგვარეულო ტაძარი აღაგეს. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სკოლის საქმეს არა მარტო კერძოდ, არამედ საზოგადოთ, მთელი ქართველ ერის ცხოვრებაში. ამ სასწავლებლის საშუალებით ბევრი ქართველი ღატაკი კაცის შვილი მიიღებს სწავლას, თვალებს ხაახელს და ისიც ცხადია, რომ ყოველ ამათგანიც მტკიცედ ჩაინერგავს გულში, როცა სტეფანეს, ისევ მისი ძმების მადლს და სიყვარულს. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველობაში, თიით პატივცემული სტეფანე კონსტანტინეს ძე, ლევან პეტრე და იაკობიც მეესწრებიან ისეთ ქართველთ ახალ თაობის შვილებს, რომელთაც სწავლა ამ ხსენებულს სასწავლებელში ექმნებათ დამთავრებული და მასთან მტკიცე გულში აღბეჭდილი, როგორც სტეფანე კონსტანტინის ძის ხსოვნა, ისევ იმ ძმების, ქართველთ ახალთაობა ასეთ მამულიშვილებს ყოველთვის შესაფერს პატივს უძღვნიან და უკვდავი საქმი გამო ყოველთვის უკვდავათაც მოიხსენებენ. დრო და მისი მიმდინარეობა ბევრს შეძლებულ კაცის სახელს და შეძლებას შესჭამს, ბევრს შემდეგ გმობის დაღიც დაესმება და მიეძღვნის, მაზრამ სტეფინეს, და მის ძმების ხსენებას კი საყოველთაოდ უკვდავათ დაშთება, მათ ყოველთვის მედიდურებით მოიხსენებს მთელი ქართველთ ეუი—საქართველო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე კონსტანტინეს ძე ხუბალაშვილი

1860—1904 წ.

სტეფანე კონსტანტინეს ძე მეტად მაღალ ბუნებოვანი თვისებისა იყო. დიდი სიყვარული აქვნდა არა მარტო ქართველობის და საქართველოსი, არამედ მთელის კაცობრიობისაც. მისის ჰაზროვნების და დახასიათების შესახებ ჩვენ მკითხველს თავს არ შევაწყენთ. მოვიყვანთ აქ რამდენსამე მის შენიშვნებს და სიტყვებს, რომელიც მას სხვა და სხვა დროს განუზიარებია ხოლმე.

ერთ ქართულ დრო-გამოცემას მცირედ გაჭირება აქვნდა, ამის თავიდამ ასაცილებლად მიმართეს სტეფანე კონსტანტინეს ძეს და 1000 მან. სთხოვეს. ეს ფული ერთხნობის სათხოვარი იყო, მეტს არას სთხოვდენ შემდეგში. ამ თხოვნას ყურადღება მიაქცია, თხოვნა შეიწყნარა და სთქვა შემდეგი სიტყვა:

„მე მზათა ვარ, რომ ამ გაზეთს არამც თუ ერთხნობით დავეხმარო, არამედ მუდამ, ვიდრე ფეხზედ დადგება. მე დიდათ პატივს ვსცემ ქართველის თუ სხვა ტომის მუშათა და ხელოსანთა განათლებას, განკაცებას. ოღონდ ისწავლონ რამე, ოღონდ ასწავლოს ვინმემ ამ მუშებს და ხელოსნებს და მე ყოველთვის მადლობელი ვიქნები. რა უფრო უნდა იყოს კარგი, ის რომ მუშა და ხელოსანი, უმეცარი და გაუგონარი იყოს, თუ გაგებული და პატიოსანი? რასაკვირველია, კარგი და პატიოსანია საჭირო. აბა მეც ამათის განკარგებისთვის როგორ დავიშურებ რამეს, ეცადონ, რომ კარგი წერილები სწერონ, ხალხი მოამზადონ ცოდნით, ერთმანერთის სიყვარულით, პატიოსნებით და ვინ იქნება ისეთი, რომ ასეთ კეთილ

საქმისთვის დახმარება არ მისცენ. მოგახსენებთ, რომ მუშების და ხელოსნების განკაცებისათვის მე არას დავიშურებ და არამც თუ ერთხნობით, არამედ ყოველთვის მივცემ 1000 მ.“.

სამწუხაროდ ჩვენდა ამ გაზეთმა დიდ ხანს ვერ გასძლო, თორემ მას სტეფანეს დახმარება არას დროს არ დააკლდებოდა.

ერთ დროს „მოგზაურისთვის“ დახმარება სთხოვეს, თხოვნა დიდის სიამოვნებით მიიღო, რედაქტორს ფული გაუგზავნა და შემდგომ ამის, როდესაც სტეფანეს მადლობა გადუხადა, მაშინ მადლობის სამაგიეროდ სტეფანემ ეს სიტყვა სთქვა:

„მეც მადლობელი ვარ, რომ ჩვენს მამა-პაპათა ცნობებს აგროვებთ და ბეჭდავთ. მოგეხსენებათ კარგად, რომ მეტად გრილი დრო დადგა, ჩვენი, ქართველობის ყოველივე ძველი ამბები და ფაქტები იკარგება, მისი პატრონი და შემკრებნი ცოტანი არიან, აი, ქართველ კათოლიკობაზედ სულ დაიკარგებოდა ამბები, რომ არ შეკრებილიყო. მე მზათა ვარ, რომ საქართველოს ისტორიული წიგნების დასაბეჭდათ, ძველი ამბების და წიგნების აღსადგენათ ყოველთვის დაგეხმაროთ. ამის მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ ისტორიულის წიგნების დასაბეჭდათ დახმარება არ მოგცეთ. მე ყოველთვის მზათა ვარ და გთხოვთ ასეთის საქმეების დასახმარებლად ყოველთვის მომმართოთ. ღმერთსა ვსთხოვ, რომ თქვენმა ჟურნალმა დიდ ხანს იცოცხლოს და „მოგზაურმა“ იმოგზაუროს მთელს საქართველოში. გავრცელდეს ყოველს კუთხეში და ქართველებში გაავრცელოს ძველი და ახალი ამბები“.

ივ. როსტომაშვილმა ამაზედ დიდი მადლობა უთხრა.

1903 წ. გაზეთ „ივერიისათვის“ ერთ დროს დახმარება ეთხოვა რედაქციიდამ. ამ დახმარების შესახებ ცნობები მოიკითხა, გაზეთის შინაური გარემოება შეიტყო, დიდათ შესწუხდა, გაუკვირდა და სთქვა შემდეგი:

„მე არ ვიცოდი, თუ „ივერიის“ საქმე ასე იყო. რედაქციის დავალება მე დიდის სიამოვნებით შევასრულე და ფულიც გაუგზავნე. ოღონდ გაზეთის საქმე შემდეგისთვის კარგად წავიდეს და მე მზათა ვარ, რომ ამ გაზეთს ყოველთვის დავე-

ხმარო. არას დროს არ დავივიწყებ ამ გაზეთის ამაგს და მნიშვნელობას, მეც ვკითხულობ სიამოვნებით. გაზეთი და მისი გამოცემა ყოველი ერისათვის დიდს საჭიროებას შეადგენს. გაზეთის კითხვის საშუალებით ნათლდება კაცის გონება და ნამეტურ უბრალო, უსწავლელი კაცის.

სახლს რომ აკოშკები არ აქვნდეს, იქ ხომ მზის სინათლე ვერ მივა, ვერ გაანათებს, ბნელი იქნება, იქ, ბნელა ოთახში ხომ ვერავინ რას დაინახავს, კაცის გონება და სწავლაც ესეა. მე სავალდებულოდ მიმაჩნია რომ ქართველი ჟურნალ-გაზეთები მრავლად იბეჭდოს. რადგანაც ჟურნალ-გაზეთების კითხვით წინაურდება კაცის გონება, კაცის კაცად გცევა მხოლოდ ასეთის საქმეებით შეიძლება წინ წავიდეს. მე თანაუგრძნობ არა მარტო ქართულს „ივერიას", არამედ ყველა ენის და ტომის გაზეთებსაც, რუსულს, სომხურს და თათრულს. მაგრამ რადგანაც ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი გაზეთები გვაქვს, ამიტომ ჩვენც მოვალე ვართ, რომ ჩვენებს დავეხმაროთ. მე, ღმერთმანი არც სხვას ვივიწყებ როგორც გითხარით, გაზეთის გამოცემა მზის სინათლეს ჰგავს და ამიტომ „ივერიას" მე ყოველთვის გაუწევ ქომაგობას. არ დავივიწყებ". სტეფანე კონსტანტინეს ძე წელს, როგორც სთქვა აპრილში, პარისიდამ რომ ჩამოვალ, უსათუოდ გადავცემ ჩემს წვლილსო. ასევე სთქვა სოფელ უდელებზედ. მაგრამ ბედმა აღარ აცალა. ვეღარ დაბრუნდა მშვიდობით თავის სამშობლოში, ვეღარც „ივერიას" მოევლინა მალამოდ.

1903 წ. სტეფანეს ძმას, პეტრე კონსტანტინეს ძეს, მეუღლე გარდაეცვალა. გარდაცვალებულის დასაფლავებას სტეფანე კონსტანტინეს ძე არ დაესწრა ავადმყოფობის გამო. რამდენიმე ხნის შემდეგ თფილისში გიახლათ და განსვენებულს კათოლიკეთ ეკკლესიაში წირვა და პანაშვიდი გარდუხადა. ამ ქალის გარდაცვალებაზედ და საზოგადოთ ეს სიტყვა სთქვა:

— „როგორც სჩანს, ყოველივე უბრალო ყოფილა, ექიმობას და ბებიობასაც დიდი რამ არ შესძლებია. გეფიცებით ღმერთს, რომ ჩვენს რძალს სახლში არა აკლდარა. ყოველის

ფრით სრული იყო და ბედნიერი, მაგრამ აი რა მოხდა? ალბად განგება არის მღვთისა და გარემოებისა. თორემ მეკი არ მინახავს და წამიკითხავს კი, რომ მთიულეთს, ფშავს და ხევსურეთში, ქალი თვით მშობიაროობისას, თვით არის თავისთავის პატრონი, ისიც მარტოკა, ცალკე აწვენენ, ვიდრე მღვდელი არ მივა და არ განათლავს, მინამდის მას არავინ მიეკარება. მათში არც ექიმებია არც აკუშერკები, არც ამდენი მოვლა და წამოლოობა, მაგრამ მადლობა ღმერთს, მათს საქმეებს არაფერი უბედურება მოსდევს. ყოველივე სიკეთით და მშვიდობით სრულდება. სწორეთ უნდა ითქვას, რომ ალბათ განგება არის, თორემ მათ რამდენი ნაკლი აქვსთ, სიღარიბე, სიცივე და ათასიც სხვანი, მაგრამ მადლობა ღმერთს, კარგად არიან, იშვიათია, რომ მათში ვინმე გარდაიცვალოს".

ამ დროს აქვე გახლდათ სტეფანე კონსტანტინეს ძის ნათესავი დავით ანტონის ძე ზუბალაშვილი, რომელმაც ეს სიტყვა მოისმინა და სტეფანეს მიუგო: დიახ, სწორედ რომ განგება უნდა გახლდესო.

ქართულ სკოლის დახმარების აღმოჩენის შემდეგ, ჩვენ ვნახეთ საადგომოდ და ამ საქმის გამო დიდი მადლობა გადაუხადეთ. მადლობა ესიამოვნა და ეს სიტყვა წარმოსთქვა: „მეტად დიდი შენობა დაუწყია ნ. ცხვედაძეს, ამისთანა შენობას მილიონი უნდა და აქკი ესენი არსად არის. მეტად კარგი საქმეკია, იქნება ამ შკოლით მაინც გვეშველოს რამე, რომ ჩვენი თავად-აზნაურის შვილები კარგად გამოიზარდონ. მე ძალიან მცხვენიან და მერიდება, როცა გაზეთებში ვკითხულობ, რომ ამა და ამ ქართველ თავადის, თუ აზნაურის შვილმა ესა და ეს ცუდი საქმე, ქურდობა და კაცის კვლა ჩაიდინაო. ნეტა ესენი კი შემცირდეს მათში, ნეტავი კარგი, სასარგებლო კაცები გამრავლდეს მათში, მოისპოს ცუდ ხალხთა რიცხვი, თორემ სირცხვილია ჩვენთვის, კარგი არ არის, რომ თითო ოროლა პირისაგან მთელი თავად-აზნაურობა რცხვება უცხო ხალხის წინაშე.

დიახ, ამათვის მეც მოვალედ მიმაჩნია, რომ ყოველმა

ჩვენთაგანმა თითო აგური მიიტანოს და დადოს, მე ჩემი აგურები მივიტანე და ასევე ჩემმა ძმებმაც. კიდევაც მივიტანთ".

სახალხო თეატრის კეთების გამო სთქვა შემდეგი: „თეატრიც იგივეა, რაც ეკკლესია და სკოლა. საჭიროა რომ საწყალი ხალხისთვისაც კარგი თიატრი იყოს, კაი თამაშობა. იქ მარტო თიატრი არ იქნება, იქ ბიბლოთეკაც იქნება და მუქთი საჩაიეც. ზოგი ერთი მღვდელი საყვედურს იძლევა, რომ თეატრს რათ აკეთებთო. ეკკლესიებს დაეხმარეთო. მე ვუთხარი, რომ აკი ჯერეთ ბათუმში და სხვაგანაც ეკკლესიები გავაკეთეთო. სულ ხომ ეკკლესიებს არ გავაკეთებთ, ეხლა თიატრს ვაკეთებთ და მერე სასწავლებლებს გავაკეთებთ, სულ ერთი საქმე არ იქნებაო".

ეს სიტყვა უთხრა ერთს ქართველ კათოლიკეთა მოძღვარს.

—

ერხელ მე სიტყვა მოვახსენე, რომ კარგი იქნებოდა, რომ ნ. ზუბალაშვილს იმოდოლი ფული ქალაქის გამგეობისთვისკი არ გადაეცა, არამედ ახალციხეში, ქართველ კათოლიკეთათვის შეეწირა, რათა იქ სკოლები დაეხსნათ. სტეფანე კონსტანტინეს ძემ მოისმინა ეს სიტყვა და შემდეგ ამის სთქვა.

„არა, ჩემო ზაქრია, ესეც საჭიროა, ქალაქში ბევრია საწყალი, მოხუცებული ქალი, თუ კაცი, შეუძლონი, ღარიბები, სნეულები, უპატრონები. ესეც საჭიროა, ესენიც ცოდონი არიან, რომ არავინ შეიბრალოს. კარგი, გინდ რომ ასე არ იყოს, და რასაც შენ ამბობ ისე ყოფილიყოს, მერე, აბა მიეხარი, იქით ვისთვის და სად უნდა გადაეცა ეს ამოდელი ფული. ვინ მოუვლიდა მას და ვინ შეინახავდა, არავინ, ღმერთმანი. ნახევარი არ მოხმარდებოდა დანიშნულს საქმეს, სულ სხვები გაათავებდენ".

1904 წ. აპრილის 13, ვნახეთ, მივართვით მათი გვარის ისტორია და სხვა წიგნებიც. ამაზედ მადლობა უთხარით და თან დავავალე, რომ თქვენი ბიოგრაფია მეორედ უნდა დავ-

ბეჭდო და თუ შეიძლება ცნობები გვიბოძეთ, რომ შევავსოთ მეთქი. მან მადლობა მითხრა და სთქვა შემდეგი სიტყვა:

„გმადლობთ ჩემი ბიოგრაფიის დაბეჭდვისთვის, პარიჟიდამ რომ დაუბრუნდები, მაშინ გადმოგცემთ და შეავსეთ, მხოლოდ გთხოვთ გეთაყვა, რომ გაზეთებში ქების, ამბების ცნობების ბეჭდვას თავი დაანებოთ. შენ გეთაყვა, ეს არ დაივიწყოთ. მე სიკეთეს იმიტომ კი არ ვშვრები, რომ გაზეთებში მაქონ, არამედ მიტომ ვასრულებ ამას, რომ მე მოვალედ მიმაჩნია ჩემი თავი. მე თუ ვიცოცხლე დიდხანს, დამერწმუნეთ, რომ ეს სიცოცხლე მენატრება მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემს ქვეყანას და ხალხს ვემსახურო, სიკეთე დავთესო. ამის მეტი, ღმერთმანი, მე არაფერი წამყვება. სიკეთე დაუკარგელია“.

ისტორიის შესახებ დიდი მადლობელი იყო. ზოგი ერთ კითხვების და პავლე შაჰყულიანის გამო სიტყვა ჩამოვარდა და მერე ქართველ-სომეხთა ბჭობაზედ სთქვა შემდეგი:

„გთხოვთ, რომ მტრობის და შურის გავრცელებას ერთმანეთში თავი გაანებოთ, ეს არც სომხებს შეჰფერის და არც ქართველებს, აბა როგორ შეიძლება ჩვენი მტრობა და შური, ისე ახლო ვინ არის ქართველთან, როგორც სომეხი, ისევე სომხებთან ქართველები. ძველადგანვე ყოველთვის ერთად უცხოვრიათ, ერთმანეთს ჰგვანან სახით, ენით და აბა ეს როგორ შეიძლება, რომ ერთმანეთზედ გადაკიდებულნი იყვნენ, გაზეთებში როცა ასეთ ცნობებს ვკითხულობ, ეს მე ერთობ ბწყინს და მეჯავრება. არ არის კარგი.

ჩვენც ყოველთვის მათი პატივისცემა და სიყვარული გვქონია, მამაჩემ, პაპაჩემს და მთლად ჩვენს საგვარეულო ბიძებს, ყოველთვის ახლოს გვიცხოვრია და სომხებთან ნათესავობაც გვქონია და გვაქს კიდევაც და ამიტომ კარგი იქმნება, რომ ჩვენი თუ სხვა ქართველ კათოლიკეთა შესახებ წერილებში სომხობაზედ არაფერი დასტამბოთ ცუდი და სამტრო. გეფიცებით ღმერთს, რომ სიყვარული ვარდსა ჰგავს და მისი, სუნი კიდევ ჩვენთვის საჭირო არის, ისევე ჩვენც, სომხებსაც

რუსებსაც და თათრებსაც ერთმანერთში სიყვარული უნდა გვაქვნდეს. მე დიდათ მწყინს მტრობა“.

ასეთი შინაარსის ერთი პატარა წერილი სტეფანე კონსტანტინეს ძემ ამ გაზაფხულს „ივერიის“ რედაქციასაც მოსწერა. წელსვე მეტად გახარებული იყო ყვირილაში ქართული თიატრის გაკეთების გამო და პარიჟიდამ დაბრუნების შემდეგ წევრათ აპირებდა ჩაწერას, ასევე მოიკითხა ახალციხის მაზრის სოფ. უდის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის ამშენებლთა კომიტეტის ადრესი მე ამ კომიტეტს ვაცნობე და მათ კაცებიც გაუგზავნეს ბაქოს, მაგრამ იმ დროს სტეფანე იქ ალარ გახლდათ. პარიჟში იყო წასული,

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის ყველა სიტყვებს აქ არ მოვიყვანთ, მის მოკლე მოკლე სიტყვებს ყოველთვის ვიწერდი და ვიხსომებდი მისის ბიოგრაფიის მეორე გამოცემისთვის, მიტომაც ვსწერდი, ვაგროვებდი და ვიხსომებდი ყოველს მის სიტყვას და ჰაზრს.

დღეს, როდესაც სტეფანე კონსტანტინეს ძე ჩვენს წინაშე გულხელდაკრეფილი სძევს დღეს როდესაც მთელი ქართველობა ესალმება თავის საყვარელს შვილს, თავის მეჭირნახულე გულ შემატკივარს, მაშინ ვგონებთ მის მაღალ ადამიანური ვითარების გასაცნობათ ესეც კმარა, ეს სიტყვებიც ნათლად ხატვენ. სტეფანე კონსტანტინეს ძე ისეთის თვისების იყო, რომ, მცნობთა და გაჭირებულთ დახმარება თვითონვე იცოდა, სხვის თხოვნა ერიდებოდა, ამას მადლი არა აქვსო, თვით სძებნიდა გაჭირებულთ და თვითვე იცოდა დრო და დრო დახმარება. „წერაკითხვის სამართველოს“ 25 წლის დღესასწაულის შესახებ სთქვა: მე დიდი მადლობელი ვარ, რომ თვით არა მთხოვეს რაო. გაზეთებში როგორც წავიკითხე თუ არა ამბები, მაშინათვე 10,000 მ. გაუგზავნეო. „წერაკითხვის სამართველოს“ როცა ფული გამოუგზავნა, მაშინ ეს წერილიც მოსწერა. ეს წერილიც ქართველურის მამულისშვილობით ნარნარებს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას.

პატივისცემით ვაუწყებ გამგეობას, რომ ჩვენის საზოგადოების 25 წლის ფრიად თვალთ საჩინოთ და განუწყვეტლის შრომის აღსაბეჭდათ მე განვიზრახე შეძლებისდაგვარად დავეხმარო საზოგადოებას. ამასთანავე გიგზავნით 10,000 მან. და გთხოვთ მიიღოთ ეს წვლილი ჩემგან, როგორც ერთის გულ შემატკივარ ქართველისაგან.

ღრმად პატივისცემით დავშთები სტეფანე ზუბალაშვილი. ბაქო.

პარუთვნელად უნდა ითქვას, რომ ქართველობამ მეტად საგრძნობელი, მეტად საყურადღებო მამულისშვილი დაკარგა. ამის დაკვირგის სანაცვლელ და საიმედოთ ჩვენ ერთი ის გვახალისებს და გვამაგრებს, რომ ასეთს მადლიანს გზასა და კვალს არც მისი ძმები ეუცხოვებიან, მაგალითებრ: უფროს ძმა ლევანს, პეტრეს და იაკობსაც უხვად აქვსთ გული გამთბარი და გაღვიებული. იმედია, რომ ეს კარგი დედმამის შვილები და კარგად აღზდილი კაცები გაგვიწევენ სტეფანეს მაგიერობას და მით დასტოვებენ სამირადისოდ ხალხის გულში სტეფანეს ხსენებას უკვდავათ დანერგილს და დამკვიდრებულს, რასაც რაღა ფიქრი უნდა მათს ხსენებასთანაც დიდი ერთობის კავშირი ექმნება.

ამის მოიმედენი ვართ.

ეს წიგნიკი ჩვენ ადრე დავბეჭდეთ. როცა სტეფანე ცოცხალი გახლდათ, ეხლა დავბეჭდეთ მეორედ და ურთავთ შემდეგს: სტეფანე კონსტანტინეს ძე მცირედ ავადმყოფობდა ხოლმე. წელს მაისის თვის დამლევს პარიჟს გაემგზავრა სამკურნალოდ და რომ შველება ყოფილიყოს, იქიდან დაბრუნდებოდა აგვისტოს 15 რიცხვებში. სამწუხაროდ, იქ დაედო მის სიცოცხლეს საზღვარი და 14 სექტ. გარდაიცვალა. გვამს მოასვენებენ საქართველოში და თბილისის მათს საგვარეულო სასაფლავოზე დაასაფლავებენ.

სტეფანე კონსტანტინეს ძეს დიდი სიყვარული აქვნდა თავის მშობლების. ეს დედის სურათი მან გადმოგვცა, რომელიც სწორედ ამ ზომით ადრე, დონ დიმიტრი თუმანაშვილს იტალიაში დაუბეჭდავს, ეხლა ჩვენ ვბეჭდავთ ამ სურათს აქვე და თან ურთავთ სტეფანეს მამის კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილის და თვით განსვენებული სტეფანისაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

1860—1904

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელისაბედ თავ. მიხეილ თუმანიშვილის ასული

დედა სტეფანე ზუბალაშვილისა

1834—1896 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამა სტეფანესი

კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი

1829—1901

31/290

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი სამი შაური.

№ 1150